ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 30 ნოემბერი, 2015 | №281 (6901) | ფასი: 50 თეთრი

## თინა ხიდაშელი: „ნატოში შესვლის რეალური შანსი გვაქვს“

გვ.2

„1-ლი დეკემბრის მინისტერიალი ვარშავისკენ გაგვიხსნის გზას“



# ცხინვალი თურქეთის მიერ სომხეთის გენოციდის აღიარებას აპირებს

გვ.3



ანატოლი ბიბილოვი: „ეს იქნება ჩვენი პასუხი თურქეთის აგრესიაზე“

## გიორგი გუგავა: „ქართული ოცნება“ მოსახლეობას გენოციდს უწყობს“

გვ.3



„ლეიბორისტებმა შეიძლება დენის ტარიფის შემცირებას მივაღწიოთ“

## 2016 წლიდან პენსია 180 ლარი

გვ.6



მასწავლებლის საშუალო ხელფასი – 600-700 ლარი

## დემურ გიორხელიძე: „პენსიების ზრდა ხელისუფლებას თვითონ უნდა მოეფიქრებინა“

გვ.4



## რუსების 78% ანკარის დაბომბვას მხარს უჭერს

ფრონტზე წასვლა კი 8%-ს სურს



ერდოღანი: „პუტინი ცეცხლს ეთამაშება!“

გვ.8

ISSN 1987-9385

## ნასაკირალში ჯამბულ აბდულაევი დააკავეს



მას ისლამურ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა ბრალდება

გვ.2

# თინა ხიდაშელი: „ნატოში შესვლის რეალური შანსი გვაქვს“

**— საქართველოს საჰაერო სივრცე არ არის იმაზე დაუცველი, ვიდრე რომელიმე ქვეყნის, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ტელეიმედისთვის ბერლინიდან მიცემულ ინტერვიუში 28 ნოემბერს.**

**მინისტრმა აღნიშნა, რომ ამას ადასტურებს ის მოვლენები, რომელთა მოწმენიც ვართ.**





— ერთია, როდესაც დაცული გაქვს საჰაერო სივრცე და მსოფლიოში არსებობს წესები, რომლებითაც ქვეყნები მოქმედებენ, მეორეა, როდესაც საჰაერო სივრცე დაცული გაქვს, მაგრამ მსოფლიოში არსებობენ ქვეყნები, რომლებიც არაფრად აგდებენ მსოფლიო წესრიგსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, არიან ქვეყნები, რომლებსაც აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ გადადგან საპასუხო ნაბიჯები და არიან ქვეყნები, რომლებიც არ დგამენ საპასუხო ნაბიჯებს.

— მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თურქეთი და ბალტიისპირეთი. ორივეგან თანაბრად, ბალტიისპირეთში შეიძლება კიდევ უფრო მეტად ხდება საჰაერო სივრცის დარღვევა, მაგრამ ყველა ქვეყანა, საბედნიეროდ, პასუხისმგებლობით ეკიდება შექმნილ ვითარებას, — განაცხადა ხიდაშელმა.

მინისტრმა ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზეც ისაუბრა.

— საქართველო არ ითხოვს მაპს, ითხოვს ნატოში გაერთიანებას, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი აზრით, ნატოში საქართველოს წევრობის რეალური შანსი არსებობს.

## „1-ლი დეკემბრის მინისტერიალი ვარშავისკენ გაგვიხსნის გზას“

— 1-ლ დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტერიალიდან გამოსული დოკუმენტი იქნება ძალიან ოპტიმისტური, რაც საქართველოს გზას გაუხსნის ვარშავისკენ, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

მისის თქმით, საქართველოს მაპის გარეშეც აქვს შანსი, ნატოს წევრი გახდეს.

— ხვალ რომ გადაწყვიტოს შვედეთმა, რომ უნდა, როგორ ფიქრობთ, შვედეთს ეტყვიან, რომ იცით რა, თქვენ ჯერ მაპი უნდა გაიაროთ და მერე გახდებით წევრიო? ამაზე ყველას ერთი პასუხი გვაქვს, რომ ასე არ იქნება, — განაცხადა თინა ხიდაშელმა ბერლინიდან ჩართვისას.

მინისტრმა რუსეთსა და თურქეთს შორის გართულებულ ურთიერთობებზეც ისაუბრა.

— დიდი იმედი მაქვს თურქეთის, რომ არ დაუშვებს რამე ტიპის სერიოზულ გართულებას, — განაცხადა მან.

მინისტრმა აღნიშნა, რომ არავის ინტერესში არ არის დღეს სიტუაციის გართულება ნატოს წევრ სახელმწიფოსთან, რადგან ეს ნიშნავს ნატოსთან კონფლიქტს.

— რუსეთი ძალიან ახლოს მივიდა კონფლიქტის გამწვავების ზღვართან, მაგრამ თურქეთის ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში მხოლოდ მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებს. მსოფლიოში არიან სახელმწიფოები, რომლებიც გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობით უდგებიან მსგავსი ტიპის ინციდენტებს, ვიდრე პუტინის რუსეთი, — განაცხადა ხიდაშელმა.

მისი თქმით, საქართველო უკვე არის ერთი წლის წინ შექმნილი ანტიტერორისტული კოალიციის წევრი.

— საფრანგეთის ტერაქტამდე ბრიუსელში სინაგოგებზე თავდასხმები და მსგავსი ამბების მთელი სერია იყო... თქვენ მაშინ უნდა მკითხოთ, აპირებთ თუ არა ამ კოალიციიდან გასვლას, იმიტომ, რომ მეორედ ველარ შეხვალ იქ, სადაც უკვე ხარ. არავითარ ახალ კოალიციაზე საუბარი არ არის, — განაცხადა მან.

ხიდაშელის თქმით, ერთი წლის წინ რუსეთს არავინ ელაპარაკებოდა. ამ ფონზე რუსეთი ჩავიდა სირიაში, მოქმედებს სირიაში.

— რუსეთმა საკუთარი თავი აქცია მოცემულობად იმისთვის, რომ სირიასთან დაკავშირებით რამე გადაწყვეტილებების მიღების დროს გადაწყვეტილების თანამონაწილე გახდეს. ჩვენ, საქართველო, ვამბობთ, რომ თუკი მოიძებნება რამე საშუალება, რომ რუსეთი იყოს არა პრობლემის შემქმნელი, არამედ პრობლემის მომგვარებელი, ამას მხოლოდ მივესალმებით და მსოფლიო თანამეგობრობას ყველანაირად მხარს დავუჭერთ, თუმცა ამ გზაზე ჩვენ გამოვთქვამთ სკეპტიციზმს, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ბერლინში თინა ხიდაშელი შეხვდა გერმანელ კოლეგასა და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს. მან ბერლინში გამართულ შეხვედრებს პოზიტიური და იმედისმომცემი უწოდა.

— გერმანია საქართველოს მეგობარი და პარტნიორია და მზად არის, ჩვენს ქვეყანას ნებისმიერი ტიპის პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროს, — აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

# პაატა ზაქარეიშვილი: „აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა“

— საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ იდეა, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება, არც ინიციატივაა და არც შეთავაზება. ეს ჩემი პოზიციაა — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა. ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ქართველი საზოგადოების პრობლემაა ის, რომ მსგავსი დისკუსიისთვის მზაობა არ არსებობს. მინისტრის თქმით, ამ საკითხზე კონსულტაციები მთავრობის შიგნით არ მიმდინარეობს.



— 2004 წელს ჩემი და ჩემი მეგობრების ინიციატივით გამოქვეყნდა ძალიან საინტერესო კონცეფცია ფედერალიზაციაზე. ჩემი პირადი პოზიციაა, როგორც სპეციალისტისა ამ სფეროში, რომ საქართველოში ყველაზე კარგი, ეფექტური ფორმა კონფლიქტების მოგვარებისა არის მისი ფედერალიზაციური მოწყობა, ასიმეტრიულ რეგიონალიზმზე დაფუძნებული, ე.ი. სხვადასხვა რეგიონის მიმართ სხვადასხვა სტატუსი. აფხაზების მიმართ განსაკუთრებული სტატუსი უნდა იყოს. მე ამის იქით არ მივდივარ. თუ ვინმეს უკეთესი აზრები აქვს, ღმერთმანი, დაწეროს. 10 წელი გავიდა, ვინმემ რამე შემოგვთავაზა? — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა და ერთად სახელმწიფო მოწყობის გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვახსოვს, საბჭოთა კავშირია. პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ სანამ საქართველო გახდება ევროპული სახელმწიფო, მსჯელობა, თუ როგორი მოწყობა გვინდა, უნდა გაიმართოს არა მთავრობაში, არამედ საზოგადოებაში, რადგან, მისი თქმით, დღის წესრიგში დადგება აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის ამოცანა.

— ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა — ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა. ჩვენს თაობას არ გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა. ამიტომ, გვინდა ერთია და როგორ ვაპირებთ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, მეორე. საზოგადოება ამაზე უნდა მსჯელობდეს, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

**ნიუსპოსტი**

# ნასაკირალში ჯამბულ აბდულაევი დააკავეს

## მას ისლამურ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა ბრალდება

*შორენა მარსაგიშვილი*

ისლამური სახელმწიფოს წევრების მუქარიდან ერთი კვირის თავზე ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის დროსაც ისლამურ სახელმწიფოსთან შესაძლო კავშირის გამო 4 პირი დააკავეს.

მათგან ერთ-ერთი 23 წლის ჯამბულა აბდულაევია.

სამართალდამცველებმა დაკავებულის სახლის ჩხრეკისას ისლამური სახელმწიფოს დროშა, ხელყუმბარა და ავტომატური იარაღი ამოიღეს.

სპეცოპერაცია 29 ნოემბერს, დილით ჩატარდა.

ტელეკომპანია რუსთავი 2-თან საუბარში აბდულაევებმა განაცხადეს, რომ მათ იარაღი ჩაუდეს და მათ შვილს ტერორისტებთან არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

— ჩაგვიდეს იარაღი, თან ეს დროშა. აბსურდია ეს ყველაფერი. არავითარი კავშირი არ შეიძლებოდა ჩემს შვილს მაგათთან ჰქონოდა. უბრალოდ, უპატრონო ხალხი ვართ და გვჩაგრავენ, — ამბობს დაკავებულის მამა ზეინალ აბდულაევი.

— ლიმონკა, დროშა შენიაო, ამ რუკაზე აღნიშნულია ადგილებიო, ტერორისტებთან გაქვს კავშირიო და წაიყვანეს, — აცხადებს დაკავებულის დედა მარინა ვანაძე.

აბდულაევებს ორი შვილი ჰყავდათ. ერთი, გასულ წელს სოფელ ოზურგეთში მომხდარი ავტოავარიის დროს დაიღუპა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა საქართველოში მოქალაქეებს ისლამურ სახელმწიფოსთან შესაძლო კავშირის გამო აკავებენ.

პირველად ასეთი სპეცოპერაცია კახეთში ჩატარდა, რომლის დროსაც პანკისის ხეობის მკვიდრი აიუფ ბორჩაშვილი დააკავეს.

ერთი კვირის წინ კი სამართალდამცავებმა პანკისელი დავით ბორჩაშვილი დააკავეს. მართალია, ეს უკანასკნელიც სირიაში იბრძოდა, მაგრამ არა — ისლამური სახელმწიფოს მხარეს.



დავით ბორჩაშვილის ადვოკატის მტკიცებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სირიის თავისუფალ არმიაში იბრძოდა, რომელიც ბაშარ ალ ასადის რეჟიმსაც ებრძვის და ისლამურ სახელმწიფოსაც.

◆ ◆ ◆

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების წინააღმდეგ ანტიტერორისტული ოპერაციები ტარდება საქართველოს საზღვრებთანაც.

ერთი კვირის წინ სპეცოპერაცია ყაბარდო-ბალყარეთში, ნალჩიკის მახლობლად ჩატარდა, რომლის დროსაც 11 მებრძოლი მოკლეს. ისინი იატაკქვეშა დაჯგუფება ცენტრალური სექტორის წევრები იყვნენ. როგორც ადგილობრივი მედია აცხადებდა, მათ ისლამურ სახელმწიფოს გამოუცხადეს ერთგულება.

გუშინ, 29 ნოემბერს, სპეცოპერაცია უკვე დაღესტანში ჩატარდა. კონტრტერორისტულ ძალებთან შეტაკების შედეგად 3 მებრძოლი დაიღუპა.

დაღესტნური მედიის ინფორმაციით, ორივე მათგანი ცოტა ხნის წინ დაბრუნდა სირიიდან, სადაც ისინი ისლამური სახელმწიფოს მხარეს იბრძოდნენ.

ანტიტერორისტული ოპერაცია სულთანსტალკისა და მაგარამკენტსკის რაიონების საზღვარზე, მთიან ხეობაში, ტყის მასივში ჩატარდა.

ძალოვნებმა მებრძოლთა სამალავს მიაკვლიეს და ისინი ალყაში მოაქციეს.

ოფიციალური პირების ინფორმაციით, მებრძოლებმა უარი თქვეს იარაღის დაყრაზე და ცეცხლი გახსნეს. საპასუხო სროლის შედეგად სამართალდამცველებმა სამივე მათგანი მოკლეს, ადგილზე კი დიდი რაოდენობით იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოაჩინეს.

მოკლული 3 მებრძოლიდან 2 ისლამურ სახელმწიფოში შემავალ დაჯგუფებებს მეთაურობდა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი გუგავა: „ქართული ოცნება“ მოსახლეობას გენოციდს უწყობს“

შორენა მარსაგიშვილი

**დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატ რიმა ბერაძის განცხადებამ მთელი საქართველო შოკში ჩააგდო. გამონაკლისს არც ლეიბორისტები წარმოადგენენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ რაც შეიძლება მალე უნდა მოსცილდეს ხელისუფლებას. რა პერსპექტივა ელოდება ქვეყანას მათი დარჩენის შემთხვევაში? ამის შესახებ ის „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**გიორგი გუგავა:**

– ჩვენ ქართველი ხალხი არაერთხელ გავაფრთხილეთ, რომ საყდრისის ყაჩაღი და ცნობილი ოლიგარქი ქვეყანას დააქცევდა. სამწუხაროდ, 2012 წელს არავინ დაგვიჯერა და ახლა საქართველო მწარედ იმკის იმ არჩევანისთვის, რომელიც 2012 წელს გააკეთა.

ალბათ, ყველას გახსოვთ, რა უხვი დაპირებებით მოვიდნენ და რა რძის მდინარეებს შეგვპირდნენ. მათი თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის მეოთხე წელს აქ საოცრებები უნდა მომხდარიყო. საოცრებები მართლაც მოხდა და საოცნებო ხელისუფლებას მოსახლეობისთვის საოცარი შემოთავაზება აქვს: კვება 1,18 ლარი, კუბო – უფასო.

***– 1,18-ლარიან კვებასთან დაკავშირებით საკრებულომ განმარტება გააკეთა. მათი თქმით, რიმა ბერაძის განცხადება ხალხმა არასწორად გაიგო.***

– რა გავიგეთ არასწორად? გამოვიდა საკრებულოს დეპუტატი და განაცხადა, 1,18 ლარი საკმარისია ერთი დღის ულუფისთვისო.

***– საკრებულოს განმარტებით, დეპუტატს მხედველობაში უფასო სასადილოების ბენეფიციართა ერთი დღის კვება ჰქონდა.***

– ამას რა განმარტება უნდოდა, ყველა მივხვდით, რომ ამ უმწეო ადამიანებს გულისხმობდა, აბა გუგული მაღრაძესა და ზურაბ ტყემალაძეს როგორ აკადრებდა ასეთ ულუფას.

მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ უმწეო და სოციალურად დაუცველ ადამიანებს აგდებენ ასეთ დღეში. ამათი უსაქციელობის წყალობით ქვეყანაში ხალხი კიდევ უფრო გაღარიბდა. უფასო სასადილოებს გაცილებით მეტი ხალხი აკითხავს. სტატისტიკის თანახმად, საქართველოში შიმშილით სიკვდილიანობა გაიზარდა.



## „ლეიბორისტებმა შეიძლება დენის ტარიფის შემცირებას მივაღწიოთ“

ამ დროს გამოდიან უნამუსო დეპუტატები და რაღაც სისულელეებს ამბობენ. ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, 160 ლარი სრულიად საკმარისია, რომ ოჯახი გამოიკვებოს. საკმარისი თუ არის, აიღონ თავადაც 160 ლარი, რატომ იწერენ 3.000-იან ხელფასებს? ესეც არ აკმაყოფილებთ და პრემია-დანამატებსაც იწერენ.

***– რიმა ბერაძე ამბობს, რომ მერიის მაღალჩინოსნები დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და მათ პრემიები ეკუთვნით.***

– სად მუშაობენ დღე და ღამე? ქალაქსა და ქვეყანას ეტყობა მაგათი ნამუშევარი. მაგათ პრემია კი არა, ხელფასიც არ უნდა მისცე. ასეთი უნამუსო მთავრობა საქართველოს ჯერ არ ჰყოლია. მათი ყველა ქმედება თუ განცხადება ერის გენოციდისკენ არის მიმართული.

***– გენოციდი ძალიან მძიმე ბრალდებაა.***

– აბა რა დავარქვა ამათ ქმედებებს? 160 ლარად როგორ უნდა გამოიკვებოს ოჯახი? ან 1,18 ლარად რა უნდა შეჭამოს ადამიანმა?! ხელისუფლებაში კარგად იციან, რომ ეს სასიკვდილო განაჩენია და ამიტომაც შეუკვეთეს ჩვენთვის კუბოები.

***– მერიის კუბოებს გულისხმობთ?***

– დიახ, ნარმანიას კუბოებზე მოგახსენებთ, სად გაგონილა, ცოცხალი ადამიანებისთვის კუბოებს უკვეთდნენ? ამათ ესეც იკადრეს. სიამოვნებით ჩააწვენენ მთელ საქართველოს კუბოში, ოღონდ თავიანთი მუცლები ამოიყორონ. სანამ ქვეყნის კუბო შეუკვეთიათ, უნდა დავასწროთ და ესენი გავუშვათ პოლიტიკურ მოუსავლეთში. ამისთვის შესანიშნავი შანსია არჩევნები. ყველა უნდა მივიდეთ იქ და ეს 1,18-იანი მთავრობა პოლიტიკურ სანაგვეზე მოვისროლოთ.

***– არჩევნების წინ ყველა ხელისუფლება ერიდებოდა ასეთი უაზრო განცხადებების გაკეთებას. ესენი ამას ვერ ხვდებიან თუ შეგნებულად აღიზიანებენ ხალხს?***

– ასეთ სულელურ განცხადებებს არჩევნების წინ ყველა ერიდებოდა, „ქართულ ოცნებაში“ კი ერთმანეთს ასწრებენ, ვინ უფრო მეტ სისულელეს იტყვის. მთელი კოალიცია გუგული მაღრაძედ, რიმა ბერაძედა და ზურაბ ტყემალაძედ არის ქცეული. აბრეხვებენ სისულელეებს და პასუხსაც არავინ სთხოვს ამაზე.

**ასეთ სულელურ განცხადებებს არჩევნების წინ ყველა ერიდებოდა, „ქართულ ოცნებაში“ კი ერთმანეთს ასწრებენ, ვინ უფრო მეტ სისულელეს იტყვის. მთელი კოალიცია გუგული მაღრაძედ, რიმა ბერაძედა და ზურაბ ტყემალაძედ არის ქცეული. აბრეხვებენ სისულელეებს და პასუხსაც არავინ სთხოვს ამაზე**

ამის უფლებას მათ ის ერთი კაცი აძლევს, შუშის კოლბაში რომ არის შეკეტილი. მან ამ ხელისუფლების წევრებს ბიუჯეტი და ხალხის ჯიბეები, როგორც გეჯა, ისე დაუდგა და ესენიც გოჭებივით არიან მისეული ამ გეჯას.

ხადურიდან დაწყებული, რიმა ბერაძით დამთავრებული, ყველა ყელამდე გააძღო. გამძღარ ადამიანს კი სხვაც გამძღარი ჰგონია. ჩვენს ხარჯზე ბიძინა ივანიშვილმაც კარგად იშოვა ფული.

***– ივანიშვილს ფული არც მანამდე აკლდა.***

– ოლიგარქებისთვის ფული საკმარისი არასდროს არის. ამ მხრივ გამონაკლისი არც შუშის სასახლის ბატონია. მისმა „ქართუ ბანკმა“ 1700% მოგება ნახა. ეს არაფერს ნიშნავს? არც ის ნიშნავს, რომ მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, საყდრისს ეცა, ააფეთქა და იქაურობას დაეპატრონა? ოლიგარქები ფულით ვერასოდეს ძღებიან.

ვერც ეს გაძღა და ენერგომაფიასთან ერთად მოინდომა დამატებითი თანხების შოვნა. მისი და კალაძის წყალობით სემეკმა დენის ტარიფი გააძვირა. ეს გადაწყვეტილება მიიღო იმ ადამიანმა, რომლის წლიური ხელფასი 160.000 ლარია.

ჩვენ არ ვაპირებთ, ენერგომაფია გალატაკებული ხალხის ხარჯზე გავამდიდროთ. რამდენიმე თვის წინ მივმართეთ სასამართლოს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ დენის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში ლეიბორისტული პარტიის სარჩელის განხილვა დაიწყო.

სარჩელის საფუძველი 2002 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც სასამართლომ აკრძალა ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად.

***– გჯერათ, რომ სასამართლო ტარიფის შემცირების გადაწყვეტილებას გამოიტანს?***

– ამ დროისთვის რაღაც წარმატებას უკვე მივაღწიეთ. სასამართლომ საიდუმლო გრიფი მოუხსნა დოკუმენტაციას, რომლითაც თელასი დენს ყიდულობდა. ახლა ბევრ რამეს გაეცემა პასუხი და კიდევ ერთი – დაინიშნა ექსპერტიზა. თუ ის კეთილსინდისიერად ჩატარდა, ტარიფი შემცირდება.

# ცხინვალის პარლამენტი თურქეთის მიერ სომხეთის გენოციდის აღიარებას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

თურქების მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებამ მოსკოვზე მეტად ცხინვალი გაამწარა. სამხრეთელმა ოსებმა გადაწყვიტეს, მოსკოვის გამწარებისთვის სამაგიერო გადაუხადონ ერდოღანს. გასაგები მიზეზების გამო მათ სამხედრო თვითმფრინავებს ბუზსაც ვერ აუფრენენ, სამაგიეროდ, საოსო სათურქოს კოჟრზე უპირებს ფეხის დადგმას.

ოსური მედიის ცნობით, სამხრეთი ოსეთის პარლამენტი თურქეთის მიერ სომეხთა გენოციდზე იწყებს მსჯელობას. მათი სპიკერის, ანატოლი ბიბილოვის განმარტებით, ეს იქნება ცხინვალის პასუხი თურქულ აგრესიაზე.

სამხრეთელთა მთავარ კანონმდებელს საერთოდ არ აინტერესებს, რა რეაქცია ექნება ამაზე ვინმეს. ბიბილოვი იმაზე იხოკავს ლოყებს, აქამდე როგორ დაგვრჩა უღიარებელი სომეხთა გენოციდიო.

– სამწუხაროა, რომ სამხრეთ ოსეთმა დღემდე არ აღიარა თურქეთის მიერ სომეხთა გენოციდის მოწყობა. ახლა ეს საკითხი უკვე შეიტანა პარლამენტმა დღის წესრიგში, რომელზეც აუცილებლად დაიწყება მსჯელობა და გადაწყვეტილებასაც მალე მივიღებთ. იმას, რაც თურქეთმა სომხების წინააღმდეგ ჩაიდინა, აუცილებლად უნდა მიეცეს შეფასება, – განაცხადა ანატოლი ბიბილოვმა.

მისი განცხადებით, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ამ ტრაგედიის შეფასებას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ერიდებიან, სამაგიეროდ, საოსო არ აპირებს თურმე ისტორიულ სიმართლეზე თვალის დახუჭვას.




ბიბილოვის თქმით, ისინი ვალდებული არიან, შეაფასონ ის სიმხეცე, რომელიც ოსმალეთის იმპერიამ ჩაიდინა, როცა ათასობით სომეხი ამოწყვიტა.

ოსური კანონმდებლობის მოქმედ მამას თუ დავუჯერებთ, სომეხთა გენოციდის თემა ადრეც გაუჟღერებიათ სამხრეთი ოსეთის პარლამენტში. რიგი მიზეზების გამო ისინი თავს იკავებდნენ საკითხის განხილვისგან, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს, რომ დროა, ისტორიული სამართლიანობა აღადგინონ.

– ჩვენზე სერიოზული გავლენა იქონია თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამ. ამას ჩვენი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიად მივიჩნევთ. გადავწყვიტეთ, მას ამ აგრესიაზე სათანადო პასუხი გავცეთ. ჩვენი მხრიდან სომეხთა გენოციდის აღიარება იქნება პასუხი თურქულ აგრესიაზე, – აღნიშნავს სპიკერი.

ბიბილოვს საერთოდ არ ადარდებს, რა რეაქცია ექნება ამაზე თურქეთს. ის ცხინვალსა და ანკარას შორის ურთიერთობის შესაძლო გაფუჭებაზეც არ ნერვიულობს, რადგანაც მათ შორის არანაირი ურთიერთობა არ არსებობს.

მას არც ოფიციალური ბაქოს პოზიცია აინტერესებს. ბიბილოვის თქმით, მართალია, აზერბაიჯანს ეწყინება სომეხთა გენოციდის აღიარება, მაგრამ ცხინვალისგან პასუხს ვერ მოითხოვს, რადგან ბაქო მათი სტრატეგიული პარტნიორია.

ოსურ მედიასთან ჭუკჭუკისას ბიბილოვს ისიც წამოსცდა, რომ თურქეთს მხოლოდ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების გამო არ სჯის.

– თურქეთი ყოველთვის იყო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და არასოდეს აღუნიშნავს, რომ მან სამხრეთი ოსეთის მიმართ აგრესია განახორციელა. ანკარას არც ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების სურვილი გამოუთქვამს, – აცხადებს სპიკერი.

ანატოლი ბიბილოვი თურქეთის ხელისუფლებას ისლამური სახელმწიფოს მხარდაჭერასაც სდებს ბრალად.

მისი თქმით, სწორედ ანკარა უწყობს ხელს საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამისტი მებრძოლების გამოჩენას.

## ანატოლი ბიბილოვი: „ეს იქნება ჩვენი პასუხი თურქეთის აგრესიაზე“



◆ ◆ ◆

ანატოლი ბიბილოვის გენოციდის ასაღიარებელი ვნებები ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკა ალანიაში დიდად არ მოიწონეს.

საქმე ის გახლავთ, რომ თურქეთში მრავლად სახლობენ ჩრდილოეთ ოსეთიდან წასულები. რამდენიმე კვირის წინ ისინი ვლადიკავკაზს სტუმრობდნენ და თურქთა და ოსთა ძმობაზეც ბევრი ილაპარაკეს.

რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება მათაც აღაშფოთებდა და თურქების დასასჯელად ისინიც რამეს მოიფიქრებდნენ. თურქეთში ერთ-ერთ პროვინციას ალანია ჰქვია და დიდი შანსია, ოსებმა მასზე გამოაცხადონ პრეტენზია.

◆ ◆ ◆

ცხინვალის გადაწყვეტილებით ოფიციალური ერევანი, ალბათ, კმაყოფილი დარჩება. ოფიციალური განცხადებები, სავარაუდოდ, დღეიდან, 30 ნოემბრიდან, გაკეთდება.

სხვათა შორის, ბოლო ხანებში ცხინვალი და ერევანი ერთმანეთს საეჭვოდ დაუტკბნენ. სომეხთა პირველმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებაც კი მოითხოვა. ოფიციალურმა ერევანმა მაშინ ამისგან თავი შორს დაიჭირა.

საინტერესოა, რას იზამენ სომხები, თუ ცხინვალი მათ დამოუკიდებლობის აღიარებას მოსთხოვს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას არჩევნები უკვე მოგებული აქვს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ხელისუფლება ორი წლის წინ არც კი მოელოდა, რომ მოვლენები ასე რთულად განვითარდებოდა და სათადარიგო ზომების მიღება მოუწევდა.**

**ექსპერტი „ქართულ ოცნებას“ ეკლექტურ დაჯგუფებას უწოდებს.**

– ასეთ დაჯგუფებას კი ბოლომდე არასდროს აქვს გააზრებული, რა სიძნელეებს შეიძლება წააწყდეს ქვეყნის მართვის დროს. ასეთ ჯგუფს არასდროს აქვს თვეებზე, წლებზე გაწერილი გეგმა, პროგრამა, – აცხადებს სოსო ცინცაძე.

***– მართვის პროცესში ხელისუფლების მთავარი შეცდომა რა არის?***

– ბიუჯეტის შედგენაში არასწორი პრიორიტეტები. მე რამდენადაც ვიცნობ ნოდარ ხადურს, ის არის მაღალკვალიფიციური ფინანსისტი. ის მეცნიერია, ფინანსები მეცნიერის დონეზე იცის, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველ წელს ძლიერი წნეხის ქვეშ ხვდება, როდესაც ბიუჯეტის პროექტს ადგენს. ამიტომ ხშირად პრიორიტეტები არაადეკვატურია. პრიორიტეტია, ჩინოვნიკებმა კარგად იცხოვრონ. ეს უკვე ფინანსისტის პრიორიტეტი არ არის.




ეს არის პოლიტიკოსის პრიორიტეტი.

***– ქამრების შემოჭერის პოლიტიკა ჰქონდა ხელისუფლებას ერთ-ერთ პრიორიტეტად.***

– ქამრების შემოჭერა მხოლოდ პიარია. როდესაც ხელისუფლება მასას კარგად ვერ აცხოვრებს, მაშინ არჩევნებზე მისი მთავარი და ერთადერთი დასაყრდენი ძალა ჩინოვნიკების აპარატი ხდება. არსებული ჩინოვნიკების რაოდენობა რომ გადავამრავლოთ 7-8-ზე, ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე, ეს ნიშნავს, რომ



ხელისუფლებას არჩევნები უკვე მოგებული აქვს.

***– პარასკევს მთავრობის სხდომაზე პრემიერმა განაცხადა, რომ პენსია 180 ლარამდე გაიზრდება, ასევე გაიზრდება მასწავლებლების ხელფასი. ეს წინასაარჩევნოდ მიღებული გადაწყვეტილებაა?***

– რასაკვირველია. შარშან 10 ლარით მოუმატეს პენსიას, რაც სასაცილო იყო, მაგრამ ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ არჩევნებამდე ქვეყანაში სიტუაცია გამოსწორდებოდა და არ დასჭირდებოდა ამომრჩეველთა გულის მოგება ორი წლით ადრე. მაგრამ ახლა, როდესაც სულ რაღაც ერთი წელი დარჩა არჩევნებამდე და პრაქტიკულად შეუძლებელია ლარის კურსის დაბრუნება, ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის შემცირება, მას რაღაც ქმედითი ნაბიჯი უნდა გადაედგა, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ პიარკამპანია სწორედ ამ ნაწილში დაიწყო.

***– ხელისუფლება აცხადებდა, რომ პენსიის გაზრდა პოპულისტური ნაბიჯი იქნებოდა.***

– დიახ, მაგრამ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რადგან რაღაც უნდა ეღონა ხელისუფლებას. როდესაც მილიონამდე უმუშევარია ქვეყანაში, ეს ტრაგედიაა.

***– ხელისუფლება მოიგებს 2016 წლის არჩევნებს?***

– მოიგებს. ჩინოვნიკების ზრდა სწორედ ამით არის გამოწვეული. დღეს თბილისის მერიაში ორჯერ მეტი თანამშრომელია, ვიდრე რომის მერიაში. ეს არ არის გასაოცარი?

***– პოლიტიკურ ასპარეზზე პაატა ბურჭულაძე გამოჩნდა. თუ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მაშინ მთავარი დაპირისპირება ხელისუფლებასა და ბურჭულაძეს შორის იქნება?***

– მთავარი დაპირისპირება იქნება ხელისუფლებასა და უმუშევარ, მშიერ ხალხს შორის. თვითონ პაატა ბურჭულაძის სახელი თავისებური მაგნიტია, მაგრამ ის გუნდი, რომელიც უკვე გახმოვანდა, ჩემში არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათგან სიახლის სიოს უნდა ველოდოთ.

***– რატომ?***

– ჩვენ ამ ხალხს უკვე ვიცნობთ, ეს ადამიანები უკვე გამოვცადეთ. ზოგი თავის დროზე ივანიშვილთან იყო, ნაწილი – ოპოზიციაში. ცოცხალი, ახალი გუნდი ეს არ არის.

პაატა ბურჭულაძისგან ყველაზე სწორი იქნებოდა, რომ მას გუნდი აკადემიური და საუნივერსიტეტო წრეებიდან დაეკომპლექტებინა. ისევე, როგორც ბიძინა ივანიშვილმა, ბურჭულაძემაც საფუძველშივე დაუშვა შეცდომა.

***– რა შეცდომა?***

– შეცდომას მის საკადრო პოლიტიკას ვუწოდებ. ივანიშვილმა კურსი აიღო ნახევრად მარგინალ ან მარგინალიზაციის გზაზე შემდგარ პიროვნებებზე. ეს იყო ივანიშვილის სტრატეგიული შეცდომა. დემოკრატიულ ქვეყნებში ყოველთვის უფრო რთულია არჩევნებში გამარჯვება. ჩვენთან პირიქითაა. გაცილებით ადვილია ხელისუფლებაში მოსვლა, ვიდრე ხელისუფლებაში დარჩენა და ავტორიტეტის შენარჩუნება.

# დემურ გიორხელიძე: „პენსიების ზრდა ხელისუფლებას თვითონ უნდა მოეფიქრებინა“

ნონა ცაბაძე

**გასული კვირის ბოლოს პრემიერმა დიდი ზარ-ზეიმით ამცნო საზოგადოებას, რომ მომავალი წლის 1-ლი ივლისიდან პენსია 180 ლარი გახდება.**

**ორიოდე კვირით ადრე იგივე ხელისუფლება აცხადებდა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში პენსიის მატება გათვალისწინებული არ იყო.**

**რა მოხდა, რა შეიცვალა? ნაციონალებს თუ დავუჯერებთ, პენსიის 20 ლარით გაზრდა სწორედ მათი დამსახურებაა.**

ხელისუფლების ამ ნაბიჯმა, შექების მაგივრად, ექსპერტებისა და პოლიტიკოსების კრიტიკა დაიმსახურა. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ამით ისედაც დაქცეულ ეკონომიკას კიდევ უფრო უკან დახევს. ხელისუფლების ოპონენტები ამ ნაბიჯს პენსიონერებისთვის საარჩევნოდ გადაგდებულ ლუკმად მიიჩნევენ.

ექსპერტი დემურ გიორხელიძე ფიქრობს, რომ პენსია ასეთი მათხოვრული არ უნდა იყოს.

– მომავალ წელს არჩევნებია და კარგი იყო, ხელისუფლებას თვითონ მოეფიქრებინა ეს ზრდა და არ გაურჩებულიყო დასაწყისში, – აცხადებს ექსპერტი.

***– ანუ ეს მისი ინიციატივა და სურვილი არ იყო?***

– ხელისუფლებას ოპოზიციამ შესანიშნავად გაუთამაშა ეს მომენტი და მოაძებნინა რეზერვები. სპეციალისტები თავიდანვე ვამბობდით, რომ ბიუჯეტის არსებული რესურსების ფარგლებში ამ ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი იყო.





***– სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გულის მოსაგებად კიდევ რას მოიმოქმედებს ხელისუფლება?***

– იმისთვის, რომ ქვეყანაში სიღარიბე იყოს დაძლეული, არის ერთადერთი გზა – ესაა ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილები. სამუშაო ადგილებს ქმნის მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი ერთად არის განუყოფელი ნაერთი, რომლის განვითარებაზეც უნდა ფიქრობდეს ხელისუფლება.

***– წინააღმდეგ შემთხვევაში?***

– ხელისუფლება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ჯერ სიმდიდრე უნდა შეიქმნას, გადანაწილება იოლია გონიერების ფარგლებში, თუ გაქვს ეს სიმდიდრე.

***– ფინანსთა მინისტრი აცხადებს, 70%-ით გავზარდეთ პენსიაო და ეს როგორ?***

– ალბათ, საუბარია იმაზე, თუ რა იყო ადრე და რა არის ახლა. კარგი იყო, ათვლის წერტილი ეთქვა ხადურს, თუ რა დროსთან შედარებით გაიზარდა პენსია.

***– ეს წელი იწურება. ეკონომიკური კუთხით როგორი შეიძლება იყოს 2016 წელი?***

– 2016 წელი არაფრით უკეთესი არ იქნება 2015 წელზე, იმიტომ, რომ არანაირი ნაბიჯი ამისკენ არ გადადგმულა. საგარეო ფაქტორები კიდევ უფრო იძაბება. ამიტომ მოლოდინი რაღაც კარგისა 2016 წელს ილუზორული იქნება.

***– საგარეო ფაქტორები ეკონომიკური თვალსაზრისით უკან დახევს ჩვენს ქვეყანას?***

– თუ დაძაბულობის ესკალაცია მოხდა, ეს უშუალოდ ჩვენი ორი მეზობელი ქვეყანაა, რომლებთანაც ძალიან ცუდად ვართ მიბმული ეკონომიკურად. საჭმელიც კი თურქეთიდან შემოგვაქვს. თურქეთის წილი უზარმაზარია იმპორტში. ექსპორტის გარკვეული ნაწილი რუსეთისკენ მიდის.

ომი და დაძაბულობა თუ იქნება, ეს ერთსაც შეაფერხებს და მეორესაც.

# ომბუდსმენი 16 წლამდე პირებისთვის ქორწინების შეზღუდვას მიესალმება

**სახალხო დამცველის თქმით, საკანონმდებლო ცვლილებები უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების მხრიდან მიმღებლობას.**

**სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო წინადადების მხარდაჭერას, რომელიც 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესის ცვლილებას ითვალისწინებს.**

აღნიშნულთან დაკავშირებით ომბუდსმენის აპარატი განცხადებას ავრცელებს.

– საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე მომზადებული კანონპროექტი. ცვლილების მიხედვით, 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი იცვლება იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება. ცვლილების საბოლოო დამტკიცებით გაუქმდება დღეს მოქმედი მშობლის თანხმობის წესი, რომელიც პრაქტიკაში ძალიან ცუდ გავლენას ახდენდა



ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო წინადადების მხარდაჭერას. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კანონპროექტზე მუშაობის პროცესში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი წინადადება კიდევ უფრო დახვეწა და არაერთი მნიშვნელოვანი გარემოება დაზუსტდა.

წინადადების მომზადებასა და პარლამენტისთვის წარდგენას საფუძვლად უდევს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხანგრძლივი შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, ასევე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი და გენდერული თანასწორობის სფეროში წარმატებული ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა.

შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოება მზად არ არის ამგვარი ცვლილების განსახორციელებლად, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ადრეულ ასაკში ქორწინების მასშტაბები და პრობლემის სიმძაფრე. საკანონმდებლო ცვლილებები უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების მხრიდან მიმღებლობას, თუმცა გვსურს, ხაზი გავუსვათ ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პრინციპებს, რომლებიც მიგვითითებს ბავშვების/გოგონების საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, რაც უპირატესია საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებსა თუ პრაქტიკებთან მიმართებით, – ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპოსტი**

# რუსეთმა თურქეთიდან იმპორტირებული ქათმის ხორცი უკან გააბრუნა

როსსელხოზნადზორმა თურქეთიდან იმპორტირებული 54 ტონა ქათმის ხორცი უკან გააბრუნა.

ამის მიზეზი, უწყების ცნობით, იმპორტირებული პროდუქტის ვეტერინარული მოთხოვნების დარღვევა გახდა.

შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ კონტეინერებში განთავსებულ პროდუქციას იარლიყები ხელახლა ჰქონდა მიმაგრებული.

– 08/04/2014 წლის მარკირება შეცვლილი იყო და ვადის გასვლის თარიღად 08/04/2015 იყო მითითებული, – წერია როსსელხოზნადზორის განცხადებაში.

მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ რუსეთში იმპორტირებული 162 ტონა თურქული ხორციც დაბლოკეს.

ბოლო პერიოდში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ კავშირებზეც აისახა.



# ანზორ წოწონავა: „ახალი მსოფლიო ომი ბევრს უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს სამეზობლოში, ასევე მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები სახიფათოდ მიაჩნია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატ ანზორ წოწონავას. მისი აზრით, ბევრი სახელმწიფო ცდილობს ამ სიტუაციაში საკუთარი დამპყრობლური და მერკანტილური ინტერესების გატარებას.**



– ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორიც იყო 1914 წელს, როცა პირველი მსოფლიო ომი იწყებოდა. ყველას უნდოდა ომი, მაგრამ საბაბს ელოდნენ. ეს საბაბი აღმოჩნდა სარაევოში ავსტრიელი ერცჰერცოგის მოკვლა, – განუცხადა „ახალ თაობას“ ანზორ წოწონავამ.

*– ახლაც საბაბს ეძებენ?*

– დიახ. ბევრ სახელმწიფოს აწუხებს თავისი მერკანტილური გეგმები. რუსეთი რომ აგრესორი და ოკუპანტია, ცნობილია, მაგრამ იგი უნდა შეაკავო სხვა მეთოდებით. რუსეთსაც გამომწვევად ექცევიან. გარკვეული ხნის წინ ჩამოაგდეს რუსეთის თვითმფრინავი, რომელშიც ქალები და ბავშვები ისხდნენ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მსოფლიოში მშვიდობა დაირღვეს.

*– ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებული სიტუაციაა. იქ რუსეთიც იბრძვის.*

– სირიაში ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ბაშარ ასადის ოპოზიციას. რუსეთი ამ ოპოზიციას ებრძვის. მსოფლიოში აირია სიტუაცია. საქმე დიდ ცვლილებებამდე მივა. დაიწყება ახალი საზღვრების დადგენის პროცესი.

*– ეს საქართველოსაც შეეხება?*

– ადრე თუ გვიან საქართველოსაც შეეხება. ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს. საერთოდ, ბევრი რამ იცვლება. სახელმწიფოებიც დაიშლება და ოკუპირებული ტერიტორიებიც გათავისუფლდება, ოღონდ, ეს საჩქაროდ არ მოხდება. ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილე და გონივრული მოქმედებები გვმართებს.

*– თურქეთ-რუსეთის დაპირისპირების შემთხვევაშიც?*

– რასაკვირველია. რუსეთისა და თურქეთის შეჯახება, მათ შორის დაძაბული ურთიერთობები არ შედის არც რუსეთის, არც თურქეთის, არც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტერესებში. რუსეთის პრობლემები ვიცით. თურქეთსაც ძალიან ცუდად აქვს საქმე. თურქეთი დაშლის პირასაა. ქურთების ბრძოლა დამთავრდება ქურთული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნით. ძალიან ცუდად მენიშნა პოროშენკო-ერდოღანის დიალოგი.

*– პოროშენკოს რუსეთთან გამოუცხადებელი ომი აქვს და თურქეთთან მისი ურთიერთობა ბუნებრივია.*

## „სააკაშვილის უცხოელ მოკავშირეებს საქართველოსთვის კარგი არ სურთ“



– ეს სახიფათოა მშვიდობისთვის. პოროშენკომ და ერდოღანმა ყირიმზეც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ის ადრე თურქეთს, შემდეგ კი უკრაინას ეკუთვნოდა. ახლა ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთმა მიიტაცაო, დასძინეს მათ.

ძალიან ბევრს უნდა ახალი მსოფლიო ომი. საუბედუროდ, ახლაც არიან მორალს მოკლებული ისეთი სახელმწიფო ლიდერები, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს იყვნენ. მაშინ ყველას გამდიდრება და გაძლიერება უნდოდა და წამოიწყეს რამდენიმეწლიანი სისხლისმღვრელი მსოფლიო ომი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს მშვიდობისათვის და არა – ომისთვის. ამას ზნეობრივი მმართველები სჭირდება.

საუბედუროდ, ამორალური ლიდერები კიდევ არიან პოლიტიკაში. სააკაშვილი ერთი მათგანია. მან უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს, საკუთარ ხალხს, პოლიტიკას, სამართალს. ის ახლაც არ ჩერდება.

*– საქართველოს მიმართ მისი გეგმები გაქვთ მხედველობაში?*

– ეგეც და უკრაინაში მისი მოქმედებებიც. ძალიან სამწუხაროა, რომ სააკაშვილს ჰყავს მხარდამჭერები და მფარველები ოკეანისგაღმაც და ევროპაშიც. ვინც სააკაშვილის მხარდამჭერია, იმას საქართველოსთვის კარგი არ უნდა.

ასეთ უცხოელებს აქვთ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები საქართველოში. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ სააკაშვილი საქართველოში დააბრუნონ. ამ სიტუაციაში საქართველოში მცირდება დასავლური პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი. სააკაშვილი უკრაინასაც დიდ უბედურებას დამართებს. უკრაინის საქმე, მისი და სხვა ლიდერების წყალობით, სულ უკან-უკან წავა.

*სამართალი*

## დიღომში შუახნის მამაკაცის ცხედარი ნახეს

დიღომში, „თბილისი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, შუახნის მამაკაცის ცხედარი ნახეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველმა აცნობა, გარდაცვლილია შუახნის მამაკაცი, რომელსაც, სავარაუდოდ, დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული. მისი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. არსებული ინფორმაციით, ცხედარი თავდაპირველად საქართველოში ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა ნახა.

„ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში ცხედრის შესახებ ინფორმაცია დაუდასტურეს, თუმცა დეტალები არ დააკონკრეტეს. მათი ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი ბადაშვილი პროკურატურის თანამშრომლებს დაემშვიდობა

ყოფილი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი გუშინ პროკურატურის თანამშრომლებს დაემშვიდობა.



პროკურატურის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბადაშვილმა მისი ხელმძღვანელობის პერიოდში საქართველოს პროკურატურის საქმიანობა შეაფასა და მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. მან პროკურატურის თანამშრომლებს შესრულებული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და ახალ მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს წარმატება უსურვა.

ბადაშვილმა აღნიშნა, რომ პროკურატურის ყველა თანამშრომელთან ერთად ისტორიული მოვლენის მონაწილე გახდა, რადგან საქართველოს ისტორიაში პირველად თითოეულ პროკურორსა და გამომძიებელს შესაძლებლობა მიეცა, ახალი მთავარი პროკურორის არჩევაში უშუალოდ მიეღო მონაწილეობა.

მისი თქმით, ახალი მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე შემდგომი 6 წელი სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი იქნება.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა და ახალმა მთავარმა პროკურორმა ბადაშვილს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე დააყაჩაღეს

28 ნოემბერს, გვიან ღამით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დააყაჩაღეს.

ზაალ მამალაძის სახლში ჯერჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული პირები შეიჭრნენ.

ოჯახის უფროსმა თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ცადა, თუმცა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ყაჩაღებმა 800 ლარი წაიღეს და ზაალ მამალაძის კუთვნილი ავტომანქანით მიიმალნენ. მომხდარზე ყაჩაღობის მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**ნიუსპოსტი**

# როდის წავა გოგი თოფაძე პარლამენტიდან

**მრეწველთა ლიდერმა გოგი თოფაძემ პარლამენტს ის საკანონმდებლო პაკეტი წარუდგინა, რომლის მიღების შემდეგ დეპუტატი პარლამენტის დატოვებას აპირებს.**

თოფაძისა და მასთან ერთად დეპუტატ გია ჟორჟოლიანის მიერ პარლამენტში ინიცირებულია „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც საქართველოს მთელი ტერიტორიის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას ითვალისწინებს.

მოქმედი კანონმდებლობით ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია ისედაც იკრძალება, თუმცა, როგორც პროექტის ავტორები განმარტავენ, აღნიშნულის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რადგან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრულყოფილი კონტროლის განხორციელება, რათა მათი გარემოში გამიზნულად შეტანა არ მოხდეს, ფაქტობრივად შეუძლებელია.



პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი (გარდა ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით) და რეექსპორტი იკრძალება, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯარიმით ან 5 წლამდე პატიმრობით.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს შემოსავლების სამსახური განახორციელებს, რომელიც ვალდებული იქნება, ასეთი ორგანიზმების იმპორტის/რეექსპორტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ სამართალდამცავ ორგანოებს აცნობოს.

შეთავაზებული ცვლილებით იკრძალება გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსება. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წესით პასუხისმგებლობას იწვევს.

კანონპროექტის ერთ-ერთ სიახლეს ისეთი შეზღუდვის დაწესება წარმოადგენს, რომლის თანახმად, აკრძალული იქნება ერთ ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით, საქმიანობის განმახორციელებელი პირის ან იმპორტიორის მიერ ერთი წლის განმავლობაში 5 კილოგრამზე მეტი ერთი და იმავე სახეობის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი.

გარდა ამისა, კანონპროექტით ჩაკეტილ სისტემაში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება ლიცენზირებადი საქმიანობა აღარ იქნება – ეს საქმიანობა მთავრობის მიერ დადგენილი წესის დარეგულირდება. ასევე, პროექტით, ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება აღარ საჭიროებს კლასიფიცირებას უსაფრთხოების კლასების მიხედვით.

„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს „საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების დამტკიცების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №198 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას. ეს ის ბრძანებაა, რომლის გამოც ელგუჯა ხოკრიშვილი „მრეწველთა“ კრიტიკის ობიექტი გახდა.

გოგი თოფაძემ ნოემბრის დასაწყისში სადეპუტატო მანდატის დატოვებისა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე განცხადება გააკეთა. როგორც თოფაძემ განმარტა, ამ გადაწყვეტილებას სწორედ აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდეგ განახორციელებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ლევან იზორია: „სირიაში საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება“



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორიას ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოს 50-მდე მოქალაქე სირიაშია გასული.

მან ეს განცხადება ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პოლიტიკაში“ გააკეთა.

**ლევან იზორია:**

– ყველა მათგანზე ინფორმაცია გვაქვს. მეტსაც ვიტყვი: ყველა მათგანის მიმართ, სადაც გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებები, დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, როგორც კი ისინი ჩამოვლენ, პასუხს კანონის წინაშე აგებენ. შეიძლება, არც ჩამოვიდნენ.

ყველა ღონისძიება ტარდება იმისთვის, რომ თუკი პოტენციური საფრთხის მატარებელი საბრძოლველად წასვლას გადაწყვეტს, შესაძლებელია მისი დაკავებაც კი, თუ მოგვეპოვება მტკიცებულებები – ეს სისხლისსამართლებრივი დევნის ჭრილში, ხოლო პრევენციული ანუ საფრთხის თავიდან აცილების ჭრილში – როდესაც გაქვს ალბათობის უფრო დაბალი ხარისხით, მაგრამ მაინც ეჭვი, რომ შესაბამისი პირი ტერორისტული მიზნებისთვის მიემგზავრება უცხოეთში, არსებობს მეორე პრაქტიკა, როდესაც კონკრეტულ ქვეყანას ატყობინებ და იქ არდაშვების რეჟიმი მოქმედებს.

მისივე ინფორმაციით, გადინების დინამიკა მაღალი აღარ არის და საგრძნობლად შემცირდა.

**მედიანიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# 2016 წლიდან პენსია 180 ლარი

## მასწავლებლის საშუალო ხელფასი – 600-700 ლარი

ვერ გეტყვით, რამდენი დახარჯა საპარლამენტო ოპოზიციამ იმ კლიპებზე, რომლებიც ტელევიზიით გადის და რომლებშიც ნაციონალები ამტკიცებენ, რომ პენსიის ზრდა შესაძლებელია და ამას ხელისუფლება შეგნებულად არ აკეთებს, მაგრამ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კლიპებსა და რეკლამებში დახარჯული ფული წყალში გადაყრილია.

მთავრობის მეთაურმა დაადასტურა ის, რაზეც ბოლო დროს მინისტრები ხშირად საუბრობდნენ და ოპოზიციას ამის არ სჯეროდა – მომავალი წლის 1 ივლისიდან საპენსიო პაკეტი 20 ლარით გაიზრდება და 180 ლარი გახდება.

ღარიბაშვილმა პენსიონერთათვის საინტერესო განცხადება მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

– მომავალი, 2016 წლის ბიუჯეტიც სოციალურად ორიენტირებული იქნება. ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასების ზრდისათვის, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისა და სხვა ღონისძიებებისათვის.

პირველ რიგში შევეხები პენსიების საკითხს. გადავწყვიტეთ, რომ 2016 წლის პირველი ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი. 2012 წელთან შედარებით პენსიები 64 პროცენტამდეა გაზრდილი. ასე რომ, ჩვენ 600 მილიონი ლარით მეტს გავცემთ პენსიონერებისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს საპენსიო რეფორმაზე, რათა საბოლოოდ მოწესრიგდეს ეს სფერო და დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა.




ეს სისტემა ევროპასა და ამერიკაშია აპრობირებული და საკმაოდ გამართულად და ეფექტურად მუშაობს. პენსიონერების გარდა, ხელისუფლება ასრულებს დანაპირებს, 2016 წლის ბიუჯეტი პრაქტიკულად მთლიანად სოციალურად ორიენტირებული იქნება და ხარჯები ამ მიმართულებით გაიზრდება.

– თუ 2012 წელს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა 1.8 მილიარდ ლარს, 2016 წელს იგი გადააჭარბებს 3 მილიარდ ლარს, თითქმის გაორმაგებულია.

მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისთვის გამოყოფილია 570 მილიონ ლარამდე. დღეს ყველა მოქალაქე დაზღვეულია და სახელმწიფო ფარავს მათი მკურნალობის ხარჯებს, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, დევნილთა განსახლების ღონისძიებებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 85 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც სამინისტროს ბიუჯეტი 2012 წელს 25 მილიონ ლარს შეადგენდა.

დაპირებისამებრ, ხელისუფლებამ 2016 წლის ბიუჯეტში მასწავლებლების ხელფასის ზრდაც გაითვალისწინა და მთლიანობაში, 2012 წელთან შედარებით, მასწავლებლების ხელფასი 55%-ით იქნება გაზრდილი.

– ამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 მილიარდ ლარზე მეტი. 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს 55%-ით იქნება გაზრდილი განათლების სისტემის ბიუჯეტი. განსაკუთრებით მინდა შევეხო მასწავლებლების ხელფასის საკითხს. 2015 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა პედაგოგთა ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი და საბაზო ხელფასი გაიზარდა 405 ლარამდე. საშუალო ხელფასი 2016 წლისათვის, 2012 წელთან შედარებით, ჯამში გაიზრდება 70 პროცენტით. ასევე გაიზარდა მეცნიერთა ხელფასები, – განაცხადა პრემიერმა.

უფრო დეტალურად ამ საკითხზე განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ისაუბრა. მისი თქმით, 2016 წლის აპრილში მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 600-700 ლარი იქნება.

მთავრობის სხდომაზე პრემიერი დაინტერესდა, რამდენი იყო საშუალო ხელფასი, რაზეც სანიკიძემ უპასუხა, რომ საშუალო ხელფასი იყო 400-დან 500 ლარამდე. როგორც სანიკიძემ აღნიშნა, 2017 წელს კიდევ არის მასწავლებლის ხელფასის ზრდა დაგეგმილი, რაც, საბოლოო ჯამში, საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასს გაუტოლებს მასწავლებლის ხელფასსაც.

– მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ საბაზო ხელფასის ზრდა უფრო მეტად ზრდის კიდევ საშუალო ხელფასს. მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე 2016 წლის აპრილში გვექნება 600-700 ლარი, – განაცხადა სანიკიძემ.

პრემიერ-მინისტრმა არც მეცნიერები დაივიწყა და აღნიშნა, რომ მათი შრომა იმაზე მეტად ფასდება, ვიდრე ადრე.

ადრე მეცნიერთა ხელფასები მიზერული იყო და 150-200 ლარის ფარგლებში მერყეობდა, დღეისთვის კი კვლევით დაწესებულებებში საშუალო ხელფასი 600-700 ლარია.

ვერ გეტყვით, რას იზამს ახლა საპარლამენტო ოპოზიცია და როგორ „გამოიგლოვებს" სარეკლამო რგოლებში გადაყრილ ფულს, რადგან პარტიაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო მათ პარტიის ცენტრალური ოფისიც კი გაყიდეს.

# ექსპორტის შემცირების ტენდენცია გრძელდება

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა.

მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ექსპორტის შემცირების ტენდენცია გრძელდება.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 14%-ით შემცირდა. დღეისთვის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 8 მილიარდ 121 მლნ აშშ დოლარია, აქედან ექსპორტი 1 მილიარდ 832 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (24%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი – 6 მილიარდ 289 მლნ აშშ დოლარს (10%-ით ნაკლები).

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში 4 მილიარდ 457 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55% შეადგინა.

◆ ◆ ◆

საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მილიარდ 568 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4%-ით მეტია.

აქედან ექსპორტი 537 მლნ აშშ დოლარი იყო (2%-ით მეტი), ხოლო იმპორტი – 2.031 მლნ აშშ დოლარი (4%-ით მეტი).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32% შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში – 29%, იმპორტში – 32% (2014 წლის იანვარ-ოქტომბერში, შესაბამისად, 26, 22 და 28 პროცენტი).

ამრიგად, კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ ევროკავშირის მიმართულებით ვაჭრობა ძლიერდება, თუმცა ექსპერტები




ლაპარაკობენ იმ წინაღობებზე, რომლებიც ამ პროცესში ექმნება ქვეყანას.

ერთ-ერთი მათგანი გადაზიდვებთან დაკავშირებული პრობლემაა, კერძოდ, ის, რომ ზოგჯერ ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირება საკმაოდ ძვირი ჯდება. ასევე, პრაქტიკულად არ არსებობს პირდაპირი რეგულარული სატრანსპორტო ბორნები ევროპაში, რაც შესაძლებლობას მისცემდა ქართული პროდუქციის ექსპორტიორებს დროულად და, რაც მთავარია, იაფად შეესრულებინათ ევროპელი მომხმარებლების დაკვეთები.

ამას გარდა, პრობლემაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ისიც, რომ სახელმწიფო ძალისხმევა არასაკმარისია ახალი საექსპორტო ბაზრების შესახებ ქართველი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად. სწორედ ამიტომ, საქსტატის ცნობით, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა დღემდე მსოფლიო ქვეყნების „ვიწრო წრესთან" ვაჭრობს.

წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი (1 მილიარდ 246 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (664 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (596 მლნ აშშ დოლარი).

ჩინეთი ბოლო წლებში გამოჩნდა ჩვენს პირველ სავაჭრო ასეულში და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელზე მოლაპარაკების დაწყებასაც აპირებს ხელისუფლება ჩინეთთან, ამ წილს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაზრდის.

◆ ◆ ◆

კვლავ შეზღუდულია საექსპორტო პროდუქციის სახეობები.

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა – 207 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 11%.

ფეროშენადნობების ექსპორტი 167 მლნ აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9%-ს უდრიდა.

მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იყო. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 154 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8% შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომლის იმპორტმა 558 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9% შეადგინა.

მეორე ადგილზე იყო სამკურნალო საშუალებების სასაქონლო ჯგუფი, ასევე 558 მლნ აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9%-ს უდრიდა.

მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა, 381 მლნ აშშ დოლარით და იმპორტის 6%-ით.

**ნინო ევგენიძე, რადიო „თავისუფლება"**

# ქართულ ბაზარზე რუსული პროდუქცია გაიზარდა

რუსეთიდან საქართველოში იმპორტი გაიზარდა, ექსპორტი კი მკვეთრად შემცირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის 10 თვეში რუსეთიდან იმპორტმა 467.593.000 დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მონაცემებზე დაახლოებით 30 მილიონი დოლარით მეტია.

რაც შეეხება ექსპორტს, მიმდინარე წლის 10 თვეში საქართველოდან რუსეთში 126.391.000 დოლარის ღირებულების საქონელი გავიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე 107 მილიონი დოლარით ნაკლებია.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ რუსულ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ადგილობრივი პროდუქციის წამახალისებელი კამპანიები ტარდება, რომლებიც მომხმარებელს ქართული პროდუქციის შეძენისკენ მოუწოდებს და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოში ოკუპანტადაა აღიარებული, ციფრები განსხვავებულ რეალობას ასახავს.

რა განაპირობებს რუსულ პროდუქციაზე მზარდ მოთხოვნას?

ხარისხის ასოციაციის ხელმძღვანელი გრიგოლ კუნჭულია უმთავრეს მიზეზად არასაკმარის ქართულ წარმოებას ასახელებს. მისი თქმით, ქართული პროდუქცია არ არსებობს იმ მოცულობით, რამდენის მოთხოვნაც ბაზარზე არსებობს.

კუნჭულიას თქმით, იმ სფეროებში, სადაც ქართული პროდუქცია არსებობს, მომხმარებლები ქართულ პროდუქციას იძენენ, ხოლო იქ, სადაც დეფიციტია, სხვა ქვეყნის პროდუქციაზე აკეთებენ აქცენტს.

– რძის პროდუქტების მაგალითი რომ ავიღოთ, სავსე იყო რუსული პროდუქციით ქართული ბაზარი, ახლა კი აბსოლუტურად ჩანაცვლებულია ეს ყველაფერი ქართული პროდუქციით. თუ მომხმარებელი ფასისა და ხარისხის თანხვედრას ნახავს, იმ პროდუქციას შეიძენს კიდეც, – აცხადებს გრიგოლ



კუნჭულია.

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის ხელმძღვანელი მადონა კოიძე კი მიიჩნევს, რომ ერთადერთი გზა, რომ ქართველმა მეწარმეებმა იმპორტულ საქონელს კონკურენცია გაუწიონ, მომხმარებელთან მეტი კომუნიკაციაა.

კოიძის თქმით, კომპანიებმა უნდა შეისწავლონ მომხმარებლის მოთხოვნები, გემოვნური თვისებები და ამ მონაცემების გამოყენებით აწარმოონ პროდუქცია.

გრიგოლ კუნჭულიას მსგავსად, მადონა კოიძეც მიიჩნევს, რომ საქართველოს გარკვეულ სფეროებში ქართული ბაზრის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების პოტენციალი გააჩნია.

– ბაზარს არეგულირებს თვითონ მომხმარებელი, თუ არის პროდუქტზე მოთხოვნა, იმპორტის რაოდენობა იზრდება. მე არ მინდა აქცენტის გაკეთება რომელიმე ქვეყნის პროდუქციაზე. თუ პროდუქტი შეესაბამება საქართველოში არსებულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, ხარისხს, მომხმარებელი ყიდულობს მას, – აცხადებს მადონა კოიძე.

ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებში ადგილობრივი წარმოების წამახალისებელი რამდენიმე კამპანია მიმდინარეობს. მათ შორისაა – იყიდე ქართული.

ასევე წარმოებს კამპანია – არ იყიდოთ რუსული პროდუქტები, ნუ დააფინანსებთ ოკუპაციას.

ამის მიუხედავად, რუსული პროდუქციის იმპორტი საქართველოში იზრდება.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# მეორად ბინებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა

## კომერციულ ობიექტებზე კი გაიზარდა

უძრავი ქონების სააგენტოების განცხადებით, მეორად ბინებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა, რადგან მომხმარებელი საცხოვრებლის შეძენას ახალაშენებულ კორპუსებში არჩევს.

სააგენტო კიბე.ჯის ხელმძღვანელი ნელი გოგუაძე „კომერსანტთან" ამბობს, რომ ბოლო პერიოდში საცხოვრებელ ფართებზე მეტად კომერციულ ობიექტებზეა მოთხოვნა, როგორებიცაა მიწა,



კვების ობიექტები, სასტუმროს ტიპის შენობები.

მისივე თქმით, ბინებზე, განსაკუთრებით კი მეორად ბინებზე მოთხოვნა 50%-ით არის შემცირებული, რადგან მომრავლდა მშენებლობები და თავად სამშენებლო კომპანიები გრძელვადიანი გრაფიკით, ფასდაკლებებით სთავაზობენ მომხმარებელს ბინის შეძენას.

გოგუაძე ამბობს, რომ ფასების მხრივ უძრავ ქონებაზე მცირედი კლებაა.

უძრავი ქონების სააგენტო ერდო ჯგუფის წარმომადგენელ ნინო ქოიავას განმარტებით, ბოლო პერიოდში ტრანზაქციები, წინა თვეებთან შედარებით, შემცირებულია, თუმცა ნოემბერში გამოცოცხლება შეინიშნება.

ძირითადი მოთხოვნა ახალაშენებულ ბინებზეა, მეორად ბინებზე კი მოთხოვნის 20-30% მოდის.

ქოიავა განმარტავს, რომ, ტრადიციულად, წლის ბოლოს უძრავი ქონების ბაზარი ყოველთვის აქტიურია, ამიტომ დეკემბერში გაყიდვების ზრდას ელოდებიან.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# „ტემპერატურის 6 გრადუსით აწევა კაცობრიობის დასასრულს ნიშნავს“

## რას უნდა ველოდოთ პარიზის კონფერენციისგან

გულიკო ბალაძე

დღეს, 30 ნოემბერს, პარიზში გაეროს ეგიდით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით 80 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბება.

პარიზში ხელი მოეწერება დოკუმენტს, რომ როგორმე შეაჩერონ ტემპერატურის ზრდა.

საქართველოს მწვანეთა ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე ამბობს, რომ მუშავდება პროგრამა, რომლის მიხედვითაც ტემპერატურა 2 გრადუსზე მეტით არ აიწევს.

– თუ გაგრძელდა გლობალური დათბობა დედამიწაზე, ტემპერატურამ შეიძლება 6 გრადუსით აიწიოს, – აცხადებს მწვანეთა ლიდერი.



***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს ნიშნავს კაცობრიობის დასასრულს. შემდეგ აღარც ტერორიზმზე იქნება ლაპარაკი, აღარც არაფერზე. ამიტომ ეს არის უმნიშვნელოვანესი კონფერენცია. იქნებ მოახერხონ და შეთანხმდნენ, რომ კაცობრიობის არსებობას წერტილი არ დაუსვან.

***– ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა როგორია?***

– საქართველოსაც რთული მდგომარეობა აქვს. ტემპერატურა გაიზარდა, მყინვარები დნება, მდინარეების წყლიანობა იზრდება, ქარიშხლების რაოდენობა ხუთჯერ არის გაზრდილი. გვალვები 20 წლიწადში ერთხელ ხდებოდა, ახლა კი 5-6 წელში ერთხელ იქნება. ეს დაანგრევს სახელმწიფოს.

***– რა აუცილებელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო?***

– აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების შეფასების, წყლის ხარისხის, წყლის რესურსების მართვის სისტემის, ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების, ჰაერის ხარისხის, გარემოს დაბინძურების, სხვა კლიმატის ცვლილებასთან უშუალოდ დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება და „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების განუხრელი შესრულება, დაცული ტერიტორიების კიდევ უფრო გაფართოება.

***– მთავრობა ამისთვის მზადაა?***

– მთავრობამ გადაწყვიტა, მომზადდეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საქართველოს „ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა“ და „დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია“.

***– პრემიერ-მინისტრი რას შეჰპირდება კონფერენციის მონაწილეებს?***

– პრემიერ-მინისტრი გაეროს კლიმატის ცვლილებების სამიტზე განაცხადებს, რომ საქართველო მწვანე განვითარებისადმი ერთგული რჩება და 2030 წლისთვის გეგმავს, 15%-ით შეამციროს სათბურის აირების ემისია.

# მედეა ვასაძე დაკითხეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე დაკითხვაზე დაიბარეს. დეპუტატი ბათუმში სახელმწიფო უსაფრთხოების



სააგენტოში 29 ნოემბერს დილით მივიდა.

როგორც დაკითხვაზე შესვლის წინ ვასაძემ განაცხადა, გამოძიებას კითხვები, სავარაუდოდ, სამუფთოს რეზიდენციის შესაძენად ცენტრალური ბიუჯეტიდან დახარჯულ 4,5 მილიონ ლართან დაკავშირებით აქვს.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ მას კითხვებს არჩილ ხაბაძისა და დავით ბალაძის კორუფციულ გარიგებებში შესაძლო მონაწილეობაზე დაუსვამენ.

– დაკითხვა ეხება კონკრეტულ თემას, რომელიც დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 4,5 მილიონი ლარით შესყიდული ქონების შეუსაბამოდ გადახდილ თანხასთან. ეს ქონება არის მუსლიმთა სამმართველოზე გადაცემული 2 შენობა. მასში გადახდილია, 4,5 მილიონი ლარი, თუმცა ტერიტორია ნაგებობებთან ერთად ჯამში მხოლოდ 1 მილიონი ლარის ღირებულებისაა, – განაცხადა ვასაძემ.

**ნიუსპოსტი**

# „პროკურატურა ოჯახს გვინგრევს“

გორის რაიონის სოფელ ვარიანში მცხოვრები გიორგი ნიბლაძე და ნინო კოკაური 2014 წლის 25 ნოემბრიდან დაქორწინებულები არიან და ჯვარიც დაიწერეს.

2015 წლის სექტემბერში შვილი შეეძინათ. შვილის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, 2015 წლის სექტემბერსვე, გიორგი ნიბლაძეს პროკურატურა იბარებს. პროკურორმა მისი დაპატიმრება 140-ე მუხლით მოითხოვა, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი იკრძალება.

საქმე ის არის, რომ ქორწინების პერიოდში ნინო კოკაური არასრულწლოვანი, 16 წელს მიუღწეველი იყო. შვილის გაჩენის შემდეგ ეს ფაქტი პროკურატურისთვის გახდა ცნობილი და ნინო კოკაურის მეუღლეს მინიმუმ 7-წლიანი პატიმრობა დაემუქრა.



გორის სასამართლოში მათი საქმის არსებითი განხილვა გუშინ დაიწყო. ბრალდებული გიორგი ნიბლაძე სასამართლო პროცესებს აღკვეთის ღონისძიების გარეშე ესწრება.

გიორგი ნიბლაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება პროკურატურამ 2015 წლის სექტემბერში მოითხოვა, თუმცა არ დაკმაყოფილდა. პროკურატურამ მოსამართლის განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომაც არ ჩათვალა საჭიროდ, ახალგაზრდა წყვილები საბოლოო განაჩენამდე დაეშორებინა. ვარიანიდან გუშინდელ პროცესზე უამრავი ადამიანი ჩავიდა.

გიორგი ნიბლაძის ინტერესებს ადვოკატი ვანო სამხარაძე იცავს. ის ამბობს, რომ სახელმწიფო ბრალდება არ უფიქრდება იმ შედეგს, რომელიც შეიძლება გიორგი ნიბლაძის პატიმრობას მოჰყვეს.

– ოჯახი შექმნილია ნებაყოფლობით, არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია, რასაც ადასტურებს ყველა მხარე. რა უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, ამაზე უნდა დაფიქრდნენ როგორც პროკურორი, ასევე მოსამართლე. იმედი გვაქვს, მოსამართლე ყველა გარემოებას გაითვალისწინებს, – აცხადებს ადვოკატი ვანო სამხარაძე.

იმ შემთხვევაში, თუ კანონი სრული სიმკაცრით ამოქმედდება, ოჯახის განადგურებას წინასწარმეტყველებენ მშობლებიც. ადვოკატ ვანო სამხარაძის ინფორმაციით, გორის რაიონში ამჟამად ასეთი 3 ფაქტია.

**შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი**

# „ჩვენთან „ოყნა“ მოიპარეს, წადით სახლში“

კასპის საავადმყოფოს ექიმმა 60 წლის ასაკის პაციენტი სახლში გაწერა – „ოყნა“ ჩვენთან მოპარულია და სახლში გაუკეთეთო. სახლში ნაწლავების გასუფთავების პროცედურა საბედისწერო აღმოჩნდა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ზაურ კიტრიაშვილი ჯერ კასპის საავადმყოფოში ჰყავდათ, მეორე დილით კი ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს.

კასპის „მედალფას“ კლინიკაში ზაურ კიტრიაშვილი 2015 წლის სექტემბერში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს. მორიგე ექიმი ზაზა პარკაძე დახვდათ. სწორედ მისი რჩევით სახლში დაბრუნდნენ, ხოლო ავადმყოფს მთელი ღამის განმავლობაში ექიმის მიერ მითითებული პროცედურები ჩაუტარეს.

მეორე დილით პაციენტს სიცხემ 42 გრადუსამდე აუწია, გახდა ცუდად. ზაურ კიტრიაშვილი თბილისში ღუდუშაურის კლინიკაში წაიყვანეს. მუცლის გაკვეთისას აღმოაჩინეს, რომ ნაღველი და ბრმა ნაწლავი გახეთქილი ჰქონდა, ასევე დაზიანებული იყო თიაქარი. მოკლედ, მუცლის ღრუ მთლიანად ჩირქით იყო სავსე.



როგორც აწ გარდაცვლილის მეუღლე მაია ციცქიშვილი ამბობს, ღუდუშაურის კლინიკის ექიმებმა კასპის საავადმყოფოში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოითხოვეს. კასპში სისხლის საერთო ანალიზი იყო აღებული და რენტგენი – გადაღებული მხოლოდ. ღუდუშაურის ექიმებმა ოჯახის წევრებს უთხრეს, რომ კასპშივე ოპერაციის ჩატარება უმჯობესი იყო, ხოლო ნაწლავების გასუფთავება – დაუშვებელი.

– ოპერაცია რომ ჩაეტარებინათ და მუცელი გახსნილიყო კასპშივე, ექიმი მდგომარეობას ზუსტად დაადგენდა. ნაწლავების ხელოვნური გასუფთავება არ შეიძლებოდა თურმე, უფრო დააზიანა ყველაფერი და დააჩქარა სიკვდილი, – აცხადებს გარდაცვლილის მეუღლე.

ექიმი ზაზა პარკაძე ამბობს, რომ რენტგენის მიხედვით პაციენტს სასწრაფო ოპერაცია არ სჭირდებოდა, ხოლო ფაქტს საავადმყოფოში „ოყნის“ ჩამტარებელი მოწყობილობის მოპარვის შესახებ უარყოფს.

– პაციენტი ახლობლებმა საკუთარი სურვილით წაიყვანეს სახლში, ხელწერილიც კი გვაქვს, – აცხადებს ექიმი. ის დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს და მიაჩნია, რომ პაციენტის სიკვდილი მისი მკურნალობისა და რეკომენდაციების შედეგი არ არის.

ოჯახის წევრებმა გამოძიების დაწყება არ მოითხოვეს და პოლიციაში არ იჩივლეს, თუმცა აცხადებენ, რომ მომხდარის შესახებ ყველამ უნდა გაიგოს, რათა ახლობლებს გაუფრთხილდნენ და არასასურველი ექიმებისგან და შედეგისგან თავი დაიცვან.

**შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი**

# ანა ნაცვლიშვილი: „მოსმენები გრძელდება“

– ვიცით დანამდვილებით, რომ მოსმენები ისვე გრძელდება, – ეს განცხადება „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ საერთო კრების დაწყებამდე გააკეთა, სადაც ორგანიზაციის წლიური ანგარიში შეაჯამეს.



ანა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ შესაძლოა მაღალი თანამდებობის პირებსაც უსმენდნენ.

– ვიცით დანამდვილებით, რომ მოსმენები ისვე გრძელდება. საზოგადოებისთვის ცნობილმა რამდენიმე პირმა გაბედა და გაასაჯაროვა ეს ფაქტი. ძალიან ბევრი პირი ან არ, ან ვერ საუბრობს. პირად საუბრებში არის აღნიშვნები, რომ მაღალი თანამდებობის პირებსაც კი უსმენენ. რა თქმა უნდა, მოუსმენენ ადამიანებს, რომლებსაც ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ. სანამ საზოგადოება იმით დაინტერესდება ვის ვისთან აქვს ახლო თუ შორეული კონტაქტები, ვიდრე იმით, რომ სახელმწიფო მოქალაქეებს უსმენს, მუდმივად ამ მდგომარეობაში ვიქნებით, – აცხადებს ანა ნაცვლიშვილი.

**პირველი რადიო**

# თბილისის საკრებულო რიმა ბერაძის ნათქვამს განმარტავს

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესსამსახური ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და თბილისის საკრებულოს დეპუტატ რიმა ბერაძის იმ განცხადებას განმარტავს, რომლის მიხედვითაც 1,18 ლარი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გამოსაკვებად საკმარისია. საუბარია უფასო სასადილოების ბენეფიციარებზე. „პირველი რადიო“ საკრებულოს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი და მასზე დაყრდნობით რიგ მედიასაშუალებებში გავრცელდა დამახინჯებული ინფორმაცია, თითქოს თბილისის საკრებულოს წევრმა რიმა ბერაძემ განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველ ბენეფიციართათვის საკვებად დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკმარისია. გვინდა განვაცხადოთ, რომ ეს არის აბსოლუტური სიცრუე.



გვსურს აღვნიშნოთ, რომ ბენეფიციართა კვება წლების განმავლობაში რეგულირდება „დედაქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურების შესყიდვის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის №33.46 დადგენილებით, სადაც კვების რაციონი ექსპერტთა მიერაა განსაზღვრული.

რიმა ბერაძე ტელეკომპანია რუსთავი 2-თან ინტერვიუში სოციალურად დაუცველ ბენეფიციართათვის განკუთვნილი უფასო სასადილოების მუშაობაზე, ბენეფიციართა კვებაზე, კალორიულობაზე, მონიტორინგსა და სატენდერო პირობებზე საუბრობდა. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რუსთავი 2-ის ჟურნალისტთან საუბარში საკრებულოს დეპუტატ რიმა ბერაძის მიერ ნათქვამი ფრაზა: „ვფიქრობთ, რომ ამ კუთხით ჩვენ შენიშვნები არ გაგვაჩნია“ – საკვების კალორიულობასა და სერვისის მონიტორინგს ეხებოდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, უფასო სასადილოების მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხა 3.940.000 ლარით გაიზარდა.

სამწუხაროა, რომ რიგმა მედიასაშუალებებმა არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს.

აქვე მადლობა გვინდა გადავუხადოთ იმ მედიასაშუალებებს, რომლებმაც ფრაგმენტულად ამოღებული ინფორმაციის ტირაჟირება არ მოახდინეს და ინფორმაციის დასაზუსტებლად, ჟურნალისტიკის მაღალი სტანდარტების შესაბამისად, თბილისის საკრებულოს შესაბამის სამსახურს მიმართეს.

**პირველი რადიო**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# რუსების 78% ანკარის დაბომბვას მხარს უჭერს

## ფრონტზე წასვლა კი 8%-ს სურს

რუსულ-თურქული ურთიერთობები დღითიდღე მწვავდება.

რუსული საზოგადოება ვლადიმერ პუტინისგან მკაცრ რეაგირებას მოითხოვს. სოლოვიოვის ტოკშოუში ეს პირდაპირ ითქვა.

ტოკშოუ ქვეყანაში არსებული განწყობების სარკეა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, რუსების 78% ანკარის დაბომბვას მხარს უჭერს, თუმცა ომის დაწყების შემთხვევაში ფრონტზე წასვლის მზადყოფნას მხოლოდ 8% გამოთქვამს.

— მოკლედ ეს შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: თურქეთი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, მაგრამ ფრონტზე სხვამ იბრძოლოს, — ასეთ კომენტარს აკეთებს რადიო „თავისუფლება“.




პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა თქვა, რომ სირიაში გადასროლილი რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები მოქმედებისთვის მზადაა.

— ჩვენი თვითმფრინავები ტერორისტების პოზიციების დაბომბვას მომავალშიც განახორციელებენ. თუკი ვინმე მათ ჩამოგდებას კვლავ შეეცდება, თავის თავს დააბრალოს, რაც მოუვა! — თქვა პესკოვმა.

გარდა ამისა, რუსეთმა თურქეთს სანქციები დაუწესა. ამან თურქების აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტმა ერდოღანმა ცილისწამება უწოდა პუტინის ბრალდებას, თურქები ნავთობს ტერორისტებისგან ყიდულობენო.

— პუტინმა კარგად იცის, რომ ნავთობს რუსებისგან ვყიდულობდით, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ სანქციების შემოღება ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს. თურქეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ მისი ქვეყანა ეროვნულ ინტერესებს მუდამ დაიცავს.

— რუსეთის პრეზიდენტს ვაფრთხილებ, რომ ცეცხლს ეთამაშება! — განაცხადა ერდოღანმა.

მისი ბრძანებით, თურქეთ-სირიის საზღვარზე თურქულმა სამხედრო ტექნიკამ მოიყარა თავი.

**ნიკა თევზაძე**

## რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა ისრაელის საჰაერო სივრცე დაარღვია

მოშე იალონი: „ჩვენ ის გავაფრთხილეთ და უკან გავუშვით“

სამხედრო თვითმფრინავმა სირიაში რუსეთის საავიაციო ჯგუფიდან ისრაელის საჰაერო სივრცე დაარღვია, ერთი მილის სიღრმეში შეიჭრა და მალევე დატოვა.

ამის შესახებ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე იალონმა რადიოსადგურ „ისრაელის ხმას“ განუცხადა.

— იყო პატარა შეცდომა და მფრინავი ჩვენს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა ერთი მილის სიღრმეში. მას მაშინვე დაუკავშირდნენ, რის შედეგადაც თვითმფრინავმა კურსი იცვალა და სირიაში დაბრუნდა, — განაცხადა იალონმა.



მინისტრს მომხდარის კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია.

მოშე იალონის განცხადებით, ვინაიდან რუსეთის თვითმფრინავები ისრაელის ტერიტორიაზე დარტყმებს არ ახორციელებენ, მათი ავტომატურად ჩამოგდების საჭიროება არ არსებობს.

— ზუსტად ისე, როგორც ჩვენ არ ვუშლით მათ მოქმედებას და არ ვერევით იმაში, თუ რა ხდება სირიაში, ზუსტად ასევე არ გვიშლიან ჩვენც, ვიფრინოთ და ვიმოქმედოთ ჩვენი ინტერესების შესაბამისად, — განაცხადა იალონმა.

## სირიელმა პარტიზანებმა რუსეთის ბაზას შეუტიეს



სირიულმა პარტიზანულმა დაჯგუფებამ ისლამ ალოშამ ლატაკიაში რუსეთის ავიაბაზას რაკეტები დაუშინა. „ტაიმსის“ ცნობით, ეს შურისძიების აქტი იყო.

— ცოტა ხნის წინ ხსენებული დაჯგუფების მეთაური რუსებთან შეტაკებისას დაიღუპა, — იტყობინება „ტაიმსი“.

თავდასხმის შედეგად დაიღუპა 6, დაიჭრა 12 რუსი სამხედრო.

ინტერნეტით გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ბაზაზე თავდასხმა და დახოცილი რუსი ჯარისკაცები არიან დაფიქსირებული.

## პარიზის ტერაქტი: ტერორისტებს იუგოსლავიური იარაღი ჰქონდათ



პარიზის ტერაქტებისას თავდამსხმელები იუგოსლავიური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი.

ეს ის იარაღია, რომლის წარმოებაც 1989-90-იან წლებში ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობისას ხდებოდა.

ხსენებული იარაღი კარგა ხანია, საწყობებში უნდა ინახებოდეს. როგორ მოხვდა ის ტერორისტების ხელში, გასარკვევია.

## რუსეთში რელიგიურ ორგანიზაციებზე კონტროლი გააძლიერეს



ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებზე კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს.

ახალი კანონი უფლებას აძლევს იუსტიციის სამინისტროს, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა, თუკი ჩათვლის, რომ ის ექსტრემიზმს ქადაგებს.

საკმარისია თუნდაც ერთი კაცის საჩივარი, რათა იუსტიციის სამინისტრომ ხსენებული ორგანიზაციის შემოწმება დაიწყოს.

ის რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, მოვალენი არიან, თვეში ერთხელ იუსტიციის სამინისტროს თავიანთი მუშაობის შესახებ წერილობითი ანგარიში წარუდგინონ.

წინააღმდეგ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს ეძლევა უფლება, ხსენებული ორგანიზაციის საქმიანობა შეაჩეროს და საქმე პროკურატურას გადასცეს.

## უკრაინაში გოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღნიშნეს



უკრაინაში გოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღნიშნეს. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნატალია პოპოვიჩმა უკრაინელებს მოუწოდა, თავიანთი ბინების ფანჯრებთან სანთლები აენთოთ.

ასეც მოხდა. გოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის სანთლები აინთო როგორც კიევსა და ლვოვში, ასევე პოლტავაში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, დონბასის ნაწილში. 1932-33 წლებში, სტალინის ბრძანებით, უკრაინაში ხელოვნური შიმშილობა მოაწყვეს. ამას 8 მილიონი ადამიანი შეეწირა.

— ეს იყო ჩვენი ერის მიზანმიმართული გენოციდი. სტალინს სურდა, მოესპო ჩვენი ერის ყველაზე აქტიური ნაწილი, ინტელიგენცია, სამღვდელოება, მესაკუთრე გლეხობა, სხვები კი გაერუსებინა. სტალინური პოლიტიკა რომ გაგრძელებულიყო, დღეს უკრაინა აღარ იარსებებდა, — განაცხადა პრეზიდენტმა პოროშენკომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## სკოლის მასწავლებელი სვასტიკის გადაღებვისთვის დააჯარიმეს



გერმანიის ქალაქ ლიმბურგ-ან-დერ-ლანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაწყებითი სკოლის მასწავლებელი რალფ ბენდერი სასწავლო დაწესებულების მახლობლად სანიშნე ბოძების გადაღებისთვის ათასი ევროთი დააჯარიმეს. მამაკაცმა საკუთარი ქალაქის დაბინძურებისთვის ფულადი ჯარიმის გადახდაზე უარი განაცხადა და თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ბოძებზე სვასტიკა იყო გამოსახული.

ადგილობრივი კანონმდებლობით, მასწავლებელს ბოძების გადაღებვის ნაცვლად მათზე გამოსახულ ფაშისტურ სიმბოლოებზე სტიკერები რომ გადაეკრა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა.

ბენდერმა ქალაქის ხელისუფალთა გადაწყვეტილება უკბილო ხუმრობად ჩათვალა. მან განაცხადა, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტმა საკუთარი მოვალეობა არ შეასრულა და ფაშისტური სიმბოლო არ მოაშორა. მასწავლებელმა განაცხადა, რომ ის მზად არის, უმაღლეს სასამართლო ინსტანციას მიმართოს და ამის საფუძვლად ქვეყნის კონსტიტუცია მოიტანა: „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია“.

— ყოველდღე სკოლაში ბავშვებს ვასწავლი და ამიტომ ვალდებული ვარ, მათთვის მაგალითის მიმცემი ვიყო, — განაცხადა რალფ ბენდერმა.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალულია ფაშისტური სიმბოლოების: მესამე რეიხის დროშებისა და გერბების, ძირითადი ორგანიზაციების სიმბოლოების, უნიფორმების, დევიზებისა და მისალმების ფორმის გამოყენება.

## „მის კანადას“ ჩინეთში არ უშვებენ

ჩინეთის ხელისუფლებამ ქვეყანაში შესვლა აუკრძალა სილამაზის კონკურსის „მის კანადის“ გამარჯვებულს, 25 წლის ანასტეიშე ლინს. როგორც ჩანს, მას კონკურსის „მის მსოფლიო 2015“-ის გამოტოვება მოუწევს, რომელიც კუნძულ ჰაინანზე გაიმართება.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდაპირველად პეკინმა ლინს ვიზის მიცემაზე უარი იმ მოტივით უთხრა, რომ მას ჩინეთში ადამიანების უფლებების დაცვის პროპაგანდა და რელიგიური თავისუფლების ქადაგება ბრალდება. ამის მიუხედავად, „მის კანადა“ რამდენიმე კვირის განმავლობაში ელოდებოდა ჩინეთში შესვლის უფლებას. ბოლოს ის 25 ნოემბერს ის ჰონგ კონგში ჩაფრინდა იმის იმედით, რომ ვიზას საზღვარზე მიიღებდა. ტვიტერში საკუთარ მიკრობლოგში გოგონამ დაწერა, რომ საბაჟოს თანამშრომლებმა მას კუნძულზე გამგზავრება აუკრძალეს.

— კონკურსში მონაწილეობის სრული უფლება მაქვს. მე სტუდენტი და სილამაზის დედოფალი ვარ. არ მესმის, ასე რისი ეშინია ჩინეთის ხელისუფლებას? — განაცხადა ლინმა და შემდეგ დაამატა, რომ გულდაწყვეტილია ჩინეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თუმცა არ გაჰკვირვებია.

აღსანიშნავია, რომ ლინი ჩინეთში დაიბადა, ხოლო კანადაში საცხოვრებლად 13 წლის ასაკში გადავიდა. ის აკრიტიკებს ჩინეთის რელიგიურ პოლიტიკას. „მის კანადის ტიტულის მფლობელი ის მიმდინარე წლის მაისში გახდა, რის შემდეგაც, თავად გოგონას თქმით, ჩინეთში მცხოვრებ მამამისთან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ და მისი დაშინება ცადეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ბათუმმა პირველი წრე მოიგო



გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ბათუმი – სოხუმი 90:78**
**(17:26; 15:7; 26:23; 32:22)**

დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ბათუმმა პირველი წრე მოიგო. არადა, სოხუმელებმა თამაში მძლავრად დაიწყეს და ჯერ 10:0 იგებდნენ, შემდეგ 20:8. ბათუმელებმა პირველი მეოთხედის ბოლოსთვის ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს, რაც მეორე მეოთხედში თითქმის გაათანაბრეს.

დიდ შესვენებაზე სოხუმელები მინიმალური ლიდერობით გავიდნენ და ასე თანაბრად გაგრძელდა თამაში ბოლო პერიოდამდე, სანამ მასპინძლები თამაშზე სრულ კონტროლს არ დაამყარებდნენ. უსტიაშვილის გუნდმა 10 ქულით უკან მოიტოვა სოხუმი და იოლ გამარჯვებამდეც მივიდა – 90:78.

ბათუმელთა გამარჯვებამ ძირითადად 4 კალათბურთელზე გადაიარა. ბესო ლეჟავამ 22 ქულა და 7 პასი მიითვალა, უკრაინელმა ლეონიდ სტეპანიშინმა 21 ქულა მოაგროვა, მისმა თანამემამულე იგორ კრივცოვმა ორმაგი დუბლი – 16 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა, ისევე, როგორც აკაკი დვალიშვილმა (20 ქულა და 10 მოხსნა).

**ქუთაისი – დინამო 75:64**
**(17:20; 15:18; 19:10; 24:16)**

დინამომ თავიდანვე რომ მოიპოვა ლიდერობა, მესამე პერიოდამდე წინ იყო. გარდატეხა მესამე პერიოდის ბოლოს მოხდა, როცა ქუთაისელებმა გუნდური თამაშის წყალობით ლიდერობა მოიპოვეს – 51:48.

ბოლო პერიოდში ქუთაისელებმა ლიდერობა აღარ დაანებეს მეტოქეს და ზუსტი შეტევებით გამარჯვებამდე დიდი გართულების გარეშე მივიდნენ – 75:64.

კოტე ტულუშის გაწვრთნილ ქუთაისელებს 19 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა, რომელმაც 4 სამქულიანი მიითვალა. 13 ქულა მოაგროვა რიჩარდ მათიაშვილმა, ხოლო ზაურ ფაშაევს ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა. აზერბაიჯანელმა უკანახაზელმა 10 ქულა და 9 პასი მიითვალა.

დინამოში 18 ქულით ბომბარდირი გრიგოლ შვანგირაძე გახდა, გიორგი შარაბიძემ კი 14 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა.

ჰო, მატჩის დასრულებამდე ერთი წამით ადრე დინამოელ ილია ლონდარიძესა და ქუთაისელ გულშემატკივრებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. როგორც გავარკვიეთ, მიზეზი კალათბურთელის უხამსი ჟესტი აღმოჩნდა.

**ოლიმპი – რუსთავი 78:73**
**(27:21; 18:20; 15:15; 18:17)**

სატურნირო თვალსაზრისით, გვერდიგვერდ მყოფი გუნდების დაპირისპირებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა – გამარჯვებული მესამე ადგილზე მყოფ სოხუმს უთანაბრდებოდა.

თამაში ისე დაიწყო, სულ არ ეტყობოდა, რომ ცხრილის მეზობლები თამაშობდნენ. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა შედეგიანი შეტევებისა და კარგი დაცვის წყალობით, ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს – 14:1.

ასეთი ჩავარდნის შემდეგ რუსთაველებმა შეძლეს რეაბილიტაცია და პირველი პერიოდის 21:27 წაგების შემდეგ, მეორე ათწუთეულში თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნეს.

მეორე ნახევარი ოლიმპელთა 4-ქულიანი ლიდერობით განახლდა, თუმცა ბოლო წუთებამდე ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. კვანძი მატჩის დასრულებამდე 1:12 წუთით ადრე გაიხსნა, როცა ოლიმპი 3 ქულას იგებდა და მისმა უკრაინელმა ლეგიონერმა, სერგეი ალფოროვმა შეტევისთვის განკუთვნილი დროის ბოლო წამზე სამქულიანი ჩააგდო – 74:68.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დინამო ისევ ლიდერობს

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**გურია – დინამო (თბ) 0:2**
**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

0:1 ქვილითაია (70), 0:2 ხიზანეიშვილი (87სკ)

**გურია:** იმერლიშვილი, გელაშვილი, ჩადუნელი (კობერიძე 60), ქურდაძე, ხიზანეიშვილი, ზოზულია, ნოზაძე, მოსიაშვილი (წერეთელი 89), წილოსანი (ზაქრაძე 72), ბახია, ჯიქია

**დინამო:** ჰრდლიჩკა, კაკაბაძე, გველესიანი, გურული, კობოური, ცინცაძე, ჯიღაური, ლობჟანიძე (არაბული 46), კიტეიშვილი, ჭანტურიშვილი, ქვილითაია (ვოლკოვი 82)

მატჩი გუნდებმა აქტიურად დაიწყეს და საწყის წუთებში ორი მეტნაკლებად სახიფათო შეტევა გაცვალეს. ტაიმი ხისტად გაგრძელდა და უგოლოდ დასრულდა.

მე-60 წუთზე საჯარიმოში არსებული არეულობით ქვილითაიამ ისარგებლა, ზუსტადაც დაარტყა, თუმცა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. ექვს წუთში ოთარ კაკაბაძემ შეირბინა მეტოქის საჯარიმოში, მის დარტყმულს კი სიძლიერე დააკლდა და რობერტ იმერლიშვილმა იხსნა კარი.

მომდევნო შეტევაში უკვე ლიბორ ჰრდლიჩკამ იყოჩაღა, როცა ერთი ერთზე გასულ თავდამსხმელს ბურთი ფეხიდან აართვა.

მატჩის 70-ე წუთზე დინამოელთა სწრაფი შეტევა ფლანგიდან ოთარ კაკაბაძის ჩაწოდებით და გიორგი ქვილითაიას გოლით დაგვირგვინდა. 87-ე წუთზე ბაჩანა არაბულის აქტიურობის შემდეგ კონსტანტინე ხიზანეიშვილმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა – 0:2.

**სიონი – ჩიხურა 4:0**
**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 ისიანი (70პ), 2:0 კილასონია (75), 3:0 რაზმაძე (77), 4:0 კობახიძე (90)

**სიონი:** მერლანი, ფოფხაძე, ჯაფიაშვილი, კილასონია, გაფრინდაშვილი, საჯაია (კობახიძე 64), გოგობერიშვილი, რაზმაძე, ტატანაშვილი (ვასაძე79), ისიანი (უგულავა71), მანჯგალაძე

**ჩიხურა:** კუპატაძე, მეგრელიშვილი, განუგრავა, კურტანიძე (ჯოხაძე 10) , მუმლაძე, დეკანოიძე, კორიფაძე, ჭიჭეიშვილი (ჭანკოტაძე, 78), ჩიკვილაძე, დობროლოვსკი, კაშია

64-ე წუთზე ვარლამ კილასონიამ მოედნიდან საჯაია გაიყვანა და შეტევების გასამწვავებლად ოთარ კობახიძე შემოიყვანა. ცვლილებამ გაამართლა – მალევე კობახიძე საჯარიმოში წაქციეს და ვილი ისიანმა ზუსტად შეასრულა პენალტი – 1:0.



75-ე წუთზე ჩიხურას კარში ჯარიმა დაინიშნა. ვარლამ კილასონიამ დაბალი ბურთი დაარტყა, რომელიც მეკარისგან მარცხენა კუთხეში შეგორდა – 2:0. მალევე განუგრავამ ცუდად მოიგერია ბურთი, რომელიც კობახიძეს მიუვიდა, მან კი რაზმაძე მოძებნა, რომელმაც მასპინძელთა უპირატესობა სამამდე გაზარდა.

კობახიძე მატჩის გმირად იქცა. თამაშის დამატებულ მესამე წუთზე, მან გოლი საკუთარ აქტივში ჩაიწერა – 4:0.

**საპოვნელა – ტორპედო 1:5**
**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 კუხიანიძე (14), 0:2 ბრეგაძე (16), 1:2 ბუხაიძე (19), 1:3, 1:4 შინდაგორიძე (25პ, 30), 1:5 სიჭინავა (65)

**საპოვნელა:** გიორგაძე, ჯიმშელეიშვილი, რობაქიძე, ნ.შალამბერიძე, ბანძელაძე (მურადაშვილი 46), ამბროლაძე (მაკარიძე 79), ბუხაიძე, ცქიფურიშვილი, ტყეშელაშვილი, ბერუაშვილი, შულლაძე (აბესაძე 46)

**ტორპედო:** თევდორაძე, ოდიკაძე (ტაბატაძე 61), ჭიჭინაძე, მამასახლისი, ქიმაძე, ბრეგვაძე (დ.სიჭინავა„46), კლიმიაშვილი, კირკიტაძე, ბაბუნაშვილი, კუხიანიძე (ფურცხვანიძე„46), შინდაგორიძე

მატჩი ორივე გუნდმა საკმაოდ აქტიურად დაიწყო და რამდენიმე სახიფათო მომენტის გაცვლის შემდეგ მე-14 წუთზე პირველი გოლი ვიხილეთ. ბაბუნაშვილმა მოხდენილი პასით მთელი დაცვა მოჭრა და კუხიანიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, რომელმაც უნაკლოდ გადაატარა ბურთი თავზე თერჯოლელთა მეკარეს – 0:1.

ორიოდ წუთში საჯარიმოში ბრეგვაძის აქტიურობას მეორე გოლი მოჰყვა. შემდეგ შეტევაში გართულ ქუთაისელებს კონტრიერიში გაეპარათ. მცველთა შეუთანხმებელი მოქმედებით კარგად ისარგებლა ბუხაიძემ და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

გაშვებული გოლის შემდეგ ტორპედომ ისევ შეუტია და შინდაგორიძე საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერეს. პენალტი თვით დაზარალებულმა შეასრულა და ისევ ორი ბურთით დაწინაურა სტუმრად მყოფი გუნდი.

30-ე წუთზე შინდაგორიძემ დუბლი შეასრულა და ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ კარში დარტყმას პასი ამჯობინა.

მეორე ტაიმში დასამახსოვრებელი იყო მამასახლისის მიერ შესრულებული მაკრატელა, რომლის შემდეგ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. და კიდევ ერთი გოლი – ქიმაძე-შინდაგორიძე-სიჭინავას კომბინაცია მე-5 გოლით დასრულდა.

**მერანი – ზუგდიდი 0:0**
**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

**სამტრედია – კოლხეთი 1:0**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 ჯიქია (68)

**შუქურა-ცხინვალი 2:2**
**ქობულეთი. ჩელე არენა**

1:0, 2:0 ე.ლობჟანიძე (26, 32), 2:1 კაჭარავა (35), 2:2 ივანიშვილი (72)

**ლოკომოტივი – დინამო (ბთ) 1:1**
**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ჩიხლაძე (18), 1:1 გოგიტიძე (62)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 13 | 11 | 1 | 1 | 35-10 | 34 |
| 2.სიონი | 13 | 9 | 2 | 2 | 29-12 | 29 |
| 3.დილა | 12 | 9 | 1 | 2 | 24-10 | 28 |
| 4.ცხინვალი | 13 | 8 | 2 | 3 | 29-18 | 26 |
| 5.სამტრედია | 13 | 7 | 1 | 5 | 27-18 | 22 |
| 6.შუქურა | 13 | 6 | 3 | 4 | 16-12 | 21 |
| 7.ჩიხურა | 13 | 6 | 2 | 5 | 19-12 | 20 |
| 8.დინამო (ბთ) | 13 | 5 | 5 | 3 | 21-14 | 20 |
| 9.საბურთალო | 12 | 6 | 1 | 5 | 17-18 | 19 |
| 10.ტორპედო | 13 | 4 | 4 | 5 | 19-22 | 16 |
| 11.კოლხეთი | 13 | 5 | 1 | 7 | 12-18 | 16 |
| 12.ლოკომოტივი | 13 | 4 | 2 | 7 | 17-19 | 14 |
| 13.გურია | 13 | 2 | 3 | 8 | 10-25 | 9 |
| 14.საპოვნელა | 13 | 2 | 2 | 9 | 10-31 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 13 | 1 | 3 | 9 | 11-33 | 6 |
| 16.მერანი | 13 | 1 | 1 | 11 | 10-34 | 4 |

# შედეგები

## 28 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-უოტფორდი ............... 2:3
ბორნმუთი-ევერტონი ..................... 3:3
კრ.პალასი-ნიუკასლი ..................... 5:1
სანდერლენდი-სტოკი ..................... 2:0
სიტი-საუთჰემპტონი ....................... 3:1
ლესტერი-მანჩესტერი ..................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 14 | 9 | 2 | 3 | 30-14 | 29 |
| 2.ლესტერი | 14 | 8 | 5 | 1 | 29-21 | 29 |
| 3.მანჩესტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 20-10 | 28 |
| 4.არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 23-11 | 26 |
| 5.ტოტენჰემი | 13 | 6 | 6 | 1 | 24-11 | 24 |
| 6.კრ.პალასი | 14 | 7 | 1 | 6 | 19-14 | 22 |
| 7.ევერტონი | 14 | 5 | 6 | 3 | 27-19 | 21 |
| 8.ვესტ ჰემი | 13 | 6 | 3 | 4 | 24-20 | 21 |
| 9.საუთჰემპტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 10.ლივერპული | 13 | 5 | 5 | 3 | 17-15 | 20 |
| 11.უოტფორდი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-16 | 19 |
| 12.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 11-14 | 19 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-17 | 17 |
| 14.სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 14-18 | 14 |
| 15.ჩელსი | 13 | 4 | 2 | 7 | 17-23 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-24 | 12 |
| 17.სანდერლენდი | 14 | 3 | 3 | 8 | 16-26 | 12 |
| 18.ბორნმუთი | 14 | 2 | 4 | 8 | 17-30 | 10 |
| 19.ნიუკასლი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-30 | 10 |
| 20.ასტონ ვილა | 14 | 1 | 2 | 11 | 12-27 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ჩარლტონი-იფსვიჩი ......................... 0:3
ბლექბერნი-უენსდი ......................... 2:2
ბრაიტონი-ბირმინგემი ..................... 2:1
კარდიფი-ბარნლი ............................ 2:2
ფულემი-პრესტონი .......................... 1:1
ჰადერსფილდი-მიდლსბრო ............. 0:2
ნოტინგემი-რედინგი ........................ 3:1
ქპრ-ლიდსი ..................................... 1:1
როტერჰემი-ბრისტოლი ................... 3:0
ვულვზი-მილტონი ........................... 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-სოსიედადი .................. 4:0
ატლეტიკო-ესპანიოლი .................... 1:0
მალაგა-გრანადა ............................. 2:2
ლას პალმასი-დეპორტივო .............. 0:2
სელტა-ხიხონი ................................. 2:1
ხეტაფე-ვილიარეალი ....................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 0 | 2 | 33-12 | 33 |
| 2.ატლეტიკო | 13 | 9 | 2 | 2 | 18-6 | 29 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 26-11 | 24 |
| 4.სელტა | 13 | 7 | 3 | 3 | 24-21 | 24 |
| 5.დეპორტივო | 13 | 5 | 6 | 2 | 20-13 | 21 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 16-14 | 21 |
| 7.ეიბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-12 | 20 |
| 8.ვალენსია | 12 | 5 | 4 | 3 | 17-9 | 19 |
| 9.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-17 | 18 |
| 10.ბილბაო | 12 | 5 | 2 | 5 | 18-16 | 17 |
| 11.ესპანიოლი | 13 | 5 | 1 | 7 | 14-24 | 16 |
| 12.სევილია | 12 | 4 | 3 | 5 | 17-18 | 15 |
| 13.ხეტაფე | 12 | 3 | 2 | 7 | 12-19 | 11 |
| 14.რაიო | 12 | 4 | 2 | 6 | 14-20 | 14 |
| 15.სოსიედადი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-18 | 12 |
| 16.ხიხონი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 17.გრანადა | 13 | 2 | 5 | 6 | 15-22 | 11 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 4 | 7 | 7-13 | 10 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 4 | 7 | 10-19 | 10 |
| 20.ლევანტე | 13 | 2 | 4 | 7 | 10-24 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ნუმანსია ........................... 1:1
ლეგანესი-ბილბაო ბ ........................ 1:0
ლიაგოსტერა-უესკა ......................... 2:0
ოსასუნა-ალკორკონი ....................... 1:2
ალავესი-მალიორკა ......................... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰერტა ................................. 2:0
ჰანოვერი-ინგოლშტადტი ................. 4:0
ჰოფენჰაიმი-გლადბახი ..................... 3:3
მაინცი-აინტრახტი ........................... 2:1
ვერდერი-ჰამბურგი .......................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 13 | 1 | 0 | 42-5 | 40 |
| 2.დორტმუნდი | 13 | 9 | 2 | 2 | 36-18 | 29 |
| 3.ვოლფსბურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-15 | 24 |
| 4.გლადბახი | 14 | 7 | 2 | 5 | 28-22 | 23 |
| 5.ჰერტა | 14 | 7 | 2 | 5 | 18-17 | 23 |
| 6.ჰამბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 17-18 | 21 |
| 7.მაინცი | 14 | 6 | 2 | 6 | 20-20 | 20 |
| 8.ლევერკუზენი | 13 | 6 | 2 | 5 | 17-17 | 20 |
| 9.შალკე | 13 | 6 | 2 | 5 | 17-19 | 20 |
| 10.კიოლნი | 14 | 5 | 5 | 4 | 15-18 | 20 |
| 11.ინგოლშტადტი | 14 | 5 | 4 | 5 | 10-14 | 19 |
| 12.დარმშტადტი | 14 | 3 | 6 | 5 | 14-19 | 15 |
| 13.აინტრახტი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-22 | 14 |
| 14.ჰანოვერი | 14 | 4 | 2 | 8 | 17-24 | 14 |
| 15.ვერდერი | 14 | 4 | 1 | 9 | 14-28 | 13 |
| 16.შტუტგარტი | 13 | 3 | 1 | 9 | 17-31 | 10 |
| 17.აუგსბურგი | 13 | 2 | 3 | 8 | 17-25 | 9 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 14 | 1 | 6 | 7 | 15-23 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

პადერბორნი-მიუნხენ 1860 ............ 4:4
უნიონი-არმინია ............................. 1:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ბოლონია ........................... 2:0
მილანი-სამპდორია ......................... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 16-7 | 30 |
| 2.ნაპოლი | 13 | 8 | 4 | 1 | 24-8 | 28 |
| 3.ფიორენტინა | 13 | 9 | 1 | 3 | 26-11 | 28 |
| 4.რომა | 13 | 8 | 3 | 2 | 29-15 | 27 |
| 5.მილანი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-18 | 23 |
| 6.სასუოლო | 13 | 6 | 4 | 3 | 15-12 | 22 |
| 7.იუვენტუსი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-11 | 21 |
| 8.ტორინო | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| 9.ლაციო | 13 | 6 | 1 | 6 | 17-21 | 19 |
| 10.ატალანტა | 13 | 5 | 3 | 5 | 13-15 | 18 |
| 11.კიევო | 13 | 4 | 4 | 5 | 16-13 | 16 |
| 12.სამპდორია | 14 | 4 | 4 | 6 | 20-22 | 16 |
| 13.ჯენოა | 13 | 4 | 4 | 5 | 14-17 | 16 |
| 14.პალერმო | 13 | 4 | 3 | 6 | 13-17 | 15 |
| 15.უდინეზე | 13 | 4 | 3 | 6 | 11-15 | 15 |
| 16.ემპოლი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-20 | 15 |
| 17.ბოლონია | 14 | 4 | 1 | 9 | 13-19 | 13 |
| 18.ფროზინონე | 13 | 3 | 2 | 8 | 11-22 | 11 |
| 19.ვერონა | 13 | 0 | 6 | 7 | 8-21 | 6 |
| 20.კარპი | 13 | 1 | 3 | 9 | 11-26 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-პესკარა ............................... 1:0
სალერნიტანა-პრო ვერჩელი ......... 1:2
აველინო-პერუჯა ............................ 1:2
ბრეშა-კალიარი .............................. 4:0
კომო-ბარი ...................................... 1:1
ლანჩანო-ლატინა ........................... 2:1
ლივორნო-ნოვარა .......................... 0:1
მოდენა-ენტელა ............................. 0:1
ტერნანა-ვიჩენცა ........................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ტრუა ....................................... 4:1
ანჟე-ლილი .................................... 2:0
გაზელეკი-ლორიანი ...................... 1:1
ნანტი-ბასტია ................................. 0:0
რეიმსი-რენი .................................. 2:2
ტულუზა-ნიცა ................................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 13 | 2 | 0 | 37-8 | 41 |
| 2.ანჟე | 15 | 7 | 5 | 3 | 14-9 | 26 |
| 3.ლიონი | 15 | 7 | 4 | 4 | 21-14 | 25 |
| 4.კაენი | 14 | 8 | 1 | 5 | 14-14 | 25 |
| 5.ნიცა | 15 | 7 | 3 | 5 | 30-19 | 24 |
| 6.მონაკო | 14 | 6 | 5 | 3 | 18-18 | 23 |
| 7.რენი | 15 | 5 | 7 | 3 | 21-18 | 22 |
| 8.სტ.ეტიენი | 14 | 7 | 1 | 6 | 17-19 | 22 |
| 9.ლორიანი | 15 | 5 | 6 | 4 | 24-21 | 21 |
| 10.ნანტი | 15 | 6 | 2 | 7 | 12-15 | 20 |
| 11.გენგამი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-17 | 19 |
| 12.მარსელი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-14 | 18 |
| 13.მონპელიე | 15 | 5 | 3 | 7 | 18-19 | 18 |
| 14.ბორდო | 14 | 4 | 6 | 4 | 19-21 | 18 |
| 15.რეიმსი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-19 | 16 |
| 16.გაზელეკი | 15 | 4 | 4 | 7 | 14-19 | 16 |
| 17.ბასტია | 15 | 4 | 3 | 8 | 15-21 | 15 |
| 18.ლილი | 15 | 2 | 8 | 5 | 8-11 | 14 |
| 19.ტულუზა | 15 | 2 | 6 | 7 | 14-28 | 12 |
| 20.ტრუა | 15 | 0 | 5 | 10 | 8-30 | 5 |

**ჰოლანდია. ეიდივიზიონი**

ჰერენვენი-როდა ............................ 3:0
ექსელსიორი-ფეიენოორდი ............ 2:4
ტვენტე-ტილბურგი ........................ 1:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-მარიტიმუ ................... 3:1
სეტუბალი-მადეირა ...................... 2:2
ბოავიშტა-გიმარაეში ..................... 1:2
ტონდელა-პორტუ .......................... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ყუბანი .................................... 2:2
კრილია-ამკარი ............................. 0:0
ტერეკი-ზენიტი ............................. 4:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

აბერდინი-როსი ............................. 3:1
დ.იუნაიტედი-ჰამილტონი ............ 1:2
კილმანროკი-პარტიკი .................... 2:5
მოზერველი-ჰართსი ...................... 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ლუგანო ........................... 1:1
იანგ ბოიზი-სტ.გალენი .................. 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ადმირა ................ 4:0
გროდიგი-ზალცბურგი ................... 1:1

**ბელგია. პრო ლიგა**

გენკი-გენტი ................................... 0:1
შარლერუა-ლოკერენი .................... 1:2
კორტრაიკი-ბევერენი .................... 3:1
სტ.ტრუიდენი-მუსკრონი ............... 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პანთრათიკოსი ........ 1:2
პანიონიოსი-იანინა ....................... 2:0
ირაკლისი-პანათინაიკოსი ............ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ბასაკშეჰირი ...................... 2:2
ესკიშეჰირი-მერსინი ..................... 3:2

**ჩეხეთი. სინოტლიგა**

ბანიკი-იიჰლავა ............................. 1:2
სიგმა-სლოვაცკო ........................... 2:0
სლავია-პრჟიბრჟამი ...................... 2:1
ბოლესლავი-ბოჰემიანსი 1905 ....... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ლეჩნა ............................. 1:1
შლიონსკი-პოგონი ......................... 0:0

**უკრაინა. პრემ მატჩ ლიგა**

კარპატი-ოლიმპიკი ........................ 4:1
ზორია-სტალი ................................ 2:1
ოლექსანდრია-მეტალისტი ............ 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ლაშა ტალახაძე მსოფლიოში მეორეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტალახაძე ა ჯგუფში გამოდიოდა და თავიდან 200 კილოგრამი დაუკვეთა, მაგრამ ვერ დასძლია. არადა, პირადი რეკორდი გაცილებით მეტია.

სამაგიეროდ, მეორე ცდაზე ადვილად დაიმორჩილა შტანგა, მესამეზე კი 207 კილოგრამიც აიტაცა, თუმცა მაინც მცირე ვერცხლს დასჯერდა, რადგან ჩინებულად გაისარჯა რუსთა მომავალი ტრიუმფატორი ალექსეი ლოვჩევი, რომელმაც 200-ით დაიწყო, მერე 206 აიტაცა, გამოსვლა კი 211-ით დაასრულა.

ტალახაძემ აკვრაში გამოსვლა 238-ით დაიწყო, რომელიც წარმატებით დაძლია, შემდეგ ერთბაშად 9 კილოგრამით მოუმატა წონას, მაგრამ მსაჯებმა აწეული 247 კილოგრამი არ ჩაუთვალეს და ჩვენებურს თავიდან მოუხდა ამ სიმძიმესთან შეჭიდება. მესამე მისვლაზე ეს სიმძიმე წარმატებით კი აჰკრა, მაგრამ მეტის გამოსვლის უფლება არ ჰქონდა და ამ დისციპლინაში მცირე ვერცხლი ესტონელ მარტ საინს ერგო, რომელმაც ერთი კილოგრამით მეტი დაძლია.

ტალახაძე საბოლოოდ მე-2 ადგილზე გავიდა, ჩემპიონი კი მსოფლიოს რეკორდით ლოვჩევი გახდა.

ანასტასია გოტფრიდიც ბ ჯგუფში გამოდიოდა და ატაცი 113 კილოგრამით დაიწყო, მერე კი მიჰყვა და მაჩვენებელი ჯერ 118-მდე, ბოლოს კი 121-მდე გაზარდა. თან სამჯერვე წარმატებით ასწია შტანგა და ჯგუფიც მოიგო.

აკვრაში ის მე-17 იყო – ჯერ 137 კილოგრამი ასწია, მერე 142-ც დაიმორჩილა, მაგრამ მესამე ცდაზე 145-იანი შტანგა ხელიდან გაუვარდა.

ორჭიდში მას 243 კილოგრამი დაუგროვდა და მე-12 ადგილზე აღმოჩნდა, რაც 19 წლის სპორტსმენისთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა.

# ბათუმმა პირველი წრე მოიგო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ყველაფერი აქ გაირკვა. რუსთაველებმა დარჩენილ დროში ვეღარაფერი შეცვალეს და ოლიმპმა 78:73 იმარჯვა.

ოლიმპელებს 18 ქულით ჯერემი ბაინუმმა ულიდერა, რეზო როგავამ 15 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, ხოლო სერგი ალფოროვის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა. რუსთავში 20 ქულით საუკეთესო იყო ნიკოლა გაჩეშა, კაილ ტურპინმა კი 23 მოხსნით მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი დაამყარა. 17 ქულა და 9 პასი მიითვალა გიორგი გამყრელიძემ.

**მგზავრები – აკადემია 77:68**
**(21:19; 27:15; 5:21; 23:13)**

აკადემიას აქამდე 2 ლეგიონერი ჰყავდა – ბელარუსი ვლადიმერ კრისევიჩი და ამერიკელი დეანდრე მეისი, ხოლო მგზავრებთან პირველად ითამაშეს ამერიკელმა მორის ბრიგსმა და კანადელმა ემერსონ მიურეიმ, თუმცა გელა წულაძის გუნდმა გამარჯვებას გემო მაინც ვერ გაუგო.

აკადემიამ მორიგი მატჩი მგზავრებთან წააგო. არადა, პირველ ტაიმში მიღებული 14-ქულიანი დეფიციტი მესამე პერიოდში ერთიანად აღმოფხვრა და დაწინაურდა კიდეც, თუმცა გადამწყვეტ ათწუთეულში ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა ყველაფერი კარგად შეასრულეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც – 77:68.

გამარჯვებულებს რაშად რენსომმა 20 ქულით, 7 პასით და 7 მოხსნით ულიდერა. 17 ქულა და 7 პასი დააგროვა კახა ჯინჭარაძემ, ხოლო რეჯინალდ მერფიმ მგზავრებს 11 ქულა და 15 მოხსნა მიაშველა.

აკადემიაში ნათელი წერტილი ბელარუსი ვლადიმერ კრისევიჩი იყო 25 ქულითა და 18 მოხსნით. დებიუტანტმა მორის ბრიგსმა 15 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 7 | 6 | 1 | 543:485 | 13 |
| 2.ქუთაისი | 7 | 5 | 2 | 533:485 | 12 |
| 3.სოხუმი | 7 | 4 | 3 | 534:497 | 11 |
| 4.ოლიმპი | 7 | 4 | 3 | 508:481 | 11 |
| 5.რუსთავი | 7 | 3 | 4 | 540:552 | 10 |
| 6.დინამო | 7 | 3 | 4 | 451:477 | 10 |
| 7.მგზავრები | 7 | 3 | 4 | 506:521 | 10 |
| 8.აკადემია | 7 | 0 | 7 | 482:599 | 7 |

# ასტროპროგნოზი
## 30 ნოემბრისათვის



**ვერძი** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **კურო** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ტყუპები** – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მცირე პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა, ალბათ, უფრო – პატარა გაციება. ყურადღება მიაქციეთ კვებას. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ლომი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **ქალწული** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **სასწორი** – კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **ღრიანკალი** – კარგი დღეა ძველი კავშირების აღსადგენად. გაწონასწორებული და მშვიდი ხართ. გრძელვადიან გეგმებს ნუ დააწყობთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, ყველაზე სარისკოც კი. წარმატებას მოგიტანთ სამოგზაუროდ წასვლა და ახალი ნაცნობობა. **თხის რქა** – იმედი გაგიცრუვდებათ. მოლოდინი ამაოა. იყავით თვითკრიტიკული. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – სამსახურში. კეთილისმყოფელი დღეა ახლობელთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. **თევზები** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით და ნახავთ, რომ არ ინანებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# იმელდა მარკოსის კოლექციაში უიშვიათესი ბრილიანტი აღმოაჩინეს

ფილიპინების ყოფილი პირველი ლედის იმელდა მარკოსის საიუველირო სამკაულებს შორის ნაპოვნია უიშვიათესი, 25-კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტი. ამ ინფორმაციას კრისტის აუქციონის სახლი ავრცელებს.



კრისტისა და სოტბის თითქმის 30 წლის წინ ფერდინანდ მარკოსის რეჟიმის დამხობის შემდეგ კონფისკირებული კოლექციის შეფასების თხოვნით ფილიპინების ხელისუფლებამ მიმართა. მისი შეფასების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლება სამკაულების გასაყიდად გამოტანას აპირებს.

კრისტის წარმომადგენელმა დევიდ უორენმა ბრილიანტს „უკიდურესად ამაღელვებელი აღმოჩენა" უწოდა.

– ვარდისფერი ბრილიანტები უდიდეს იშვიათობას წარმოადგენს, – აღნიშნა მან. უორენის თქმით, ბრილიანტის ფასმა შესაძლოა 5 მილიონ დოლარს მიაღწიოს. უახლოეს დღეებში კოლექციას სოტბის აუქციონის სახლიც შეაფასებს.

# ესპანეთის პრემიერმა შვილს თავში პირდაპირ ეთერში წაუთაქა

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა მარიანო რახომ თავის შვილს რადიოსადგურის სპორტული პროგრამის პირდაპირ ეთერში თავში ხელი წამო-



არტყა. ეს მოხდა საფეხბურთო მატჩის დროს, რომელშიც ერთმანეთს დონეცკის „შახტარი" და მადრიდის „რეალი" ხვდებოდნენ და რომელსაც კომენტარს ის წამყვან პაკო გონსალესთან ერთად უკეთებდა.

პრემიერმა, რომლის დებიუტიც შედგა სპორტული ჟურნალისტის რანგში, გადაცემაში თავისი ათი წლის შვილი, ხუანი, წაიყვანა. გადაცემის მიმდინარეობისას გონსალესმა ბავშვს კითხვით მიმართა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ქვეყანაში ცნობილი სპორტული კომენტატორის მანოლო ლამის მიმართ, რომელმაც ვიდეოთამაში ფიფა ეა გაახმოვანა.

– შეიძლებოდა, უკეთესიც გამოსულიყო, თუ არ ვიტყვით, რომ სრული ნაგავია, – უპასუხა ხუანმა, რითიც სტუდიაში მყოფთა სიცილი გამოიწვია, მათ შორის მამისაც, თუმცა გაცინების შემდეგ პრემიერმა შვილს თავში მაინც წაუთაქა.

# ობობისგან შეშინებულმა ავსტრალიელმა აურზაური ატეხა

სიდნეიში პოლიციელები ოჯახური ძალადობის გამო გამოიძახეს, მაგრამ ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ობობისგან შეშინებული მარტოხელა ახალგაზრდა მამაკაცი დახვდათ.

პოლიციელები ახალგაზრდის მეზობლებმა გამოიძახეს, რომლებსაც მისი ბინიდან გამომავალი ყვირილი შემოესმათ და იფიქრეს, რომ ის ან მეუღლეს სცემდა, ან მეგობარ გოგონას.

როდესაც შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს კარი ახალგაზრდამ გაუღო, მათ კითხვა დაუსვეს, თუ რას უკეთებდა თავის ცხოვრების თანამგზავრს, რაზეც მან უპასუხა, რომ ის არავის ხვდება, ხოლო მისი ბინიდან გამომავალი ქალის ხმა და მუქარა: „მე შენ მოგკლავ! ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ!" თავად მას ეკუთვნოდა.



ახალგაზრდამ პოლიციელებს განუმარტა, რომ ის ვერ იტანს ობობებს და ბინაში ობობას დასდევდა, რომლისთვისაც მწერების საწინააღმდეგო სითხის შესხურებას ცდილობდა.

პოლიციელებმა ბინა დაათვალიერეს და, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ბინაში ახალგაზრდა მამაკაცისა და ობობის გარდა არავინ იმყოფებოდა, შემთხვევის ადგილი დატოვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ფლორიდაში ნაძვის ხეებით დატვირთული მანქანები გაიტაცეს

ამერიკის ფლორიდის შტატში ბოროტმოქმედებმა ორი სატვირთო მანქანა გაიტაცეს, რომლებიც დაახლოებით ათასამდე საშობაო ნაძვის ხით იყო დატვირთული. ინციდენტი გვიან ღამით ქალაქ კენდალში ერთ-ერთ მაღაზიასთან მოხდა.



სატრანსპორტო საშუალებების მფლობელმა მაიკ უელშმა განაცხადა, რომ გამტაცებლებმა დანაშაულის ჩადენა საკმაოდ მცირე დროში მოახერხეს, ვინაიდან მანქანების კაბინის კარები ღია იყო.

– საკეტების გახსნაზე მათ, უბრალოდ, მეტი დრო დასჭირდებოდათ, – განაცხადა უელშმა.

მოპარული ნაძვის ხეების საერთო ღირებულება 35 ათას დოლარს შეადგენს. სამართალდამცავებმა გამტაცებლებზე ძებნა გამოაცხადეს.

# ყველაზე მსუქანი კატის წოდების პრეტენდენტი ვიეტნამში გამოჩნდა



ვიეტნამის პროვინცია ნამდინში იპოვეს მსოფლიოში ყველაზე მსუქანი კატის წოდების მოპოვების პრეტენდენტი. სავარაუდოდ, კატის, სახელად მიუს წონა 20 კილოგრამია.

კატის პატრონია 75 წლის ჩან ტხი ნგა. მან მიუ ათი წლის წინ იყიდა, როდესაც ის სრულიად ნორმალური ზომის კნუტი იყო. რაც მიუს სხვა თანამოძმეთაგან გამოარჩევდა, ჭამის საოცარი მადა იყო. მისი პატრონის თქმით, მას მიუს სწრაფი ზრდა აოცებდა.

– ისეთი თვეც იყო, როდესაც მან წონაში თითქმის ერთი კილოგრამი მოიმატა, – განაცხადა ჩან ტხი ნგამ.

კატას სახელი მალე გაუვარდა. მის პატრონს არაერთხელ შესთავაზეს კატის გაყიდვა, მაგრამ ის მსურველებს ყოველთვის უარით ისტუმრებდა.

– ის ჩემთვის, მეგობარივით, შვილივით და შვილიშვილივითაც კია, – ამტკიცებს ვიეტნამელი ქალბატონი.

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით მსოფლიო რეკორდსმენად ითვლება გერმანული კატა ელვისი. მისი წონა 17,5 კილოგრამს შეადგენს, თუმცა, ბოლო დროს გავრცელებული ხმების თანახმად, მან წონაში ცოტათი დაიკლო. თუ მიუს წონა ოფიციალურად დადასტურდა, ის ავტომატურად გახდება მსოფლიოში ყველაზე მსუქანი კატა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკანვორდი




1. ალადინის მაიმუნი; 2. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 3. მექანიკის ნაწილი; 4. ხის მწვანე ბაყაყი; 5. ... სტრიპი; 6. გერმანელი კინორეჟისორი (1889-1931); 7. ვისიმე საცოლე ან საქმრო; 8. ინგლისური მაგარი ლუდი; 9. შეუწვავი, მოუხარშავი; 10. მაუგლის მეგობარი გველი; 11. „... ერგასის დღე"; 12. ... რიშარი; 13. სტადიონი ბრაზილიაში; 14. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 15. მღვდელი საფრანგეთში; 16. ნოტი; 17. პროტესტანტების მღვდელი; 18. კორეული ავტომობილი; 19. ამერიკული ავტომობილი; 20. ზმნის წარსული დრო; 21. ... შანელი; 22. საერთაშორისო სამეცნიერო თათბირი; 23. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 24. „მდოგვის გაზი"; 25. ქალის თავსაბურავი (ძვ.); 26. არისტოტელე ...; 27. მსხვილი სავაჭრო ან სამრეწველო გაერთიანება; 28. ამერიკული ავტომობილი; 29. ბურატინოს პროტოტიპი; 30. ტბა აფრიკაში; 31. იგივეა, რაც ნადი; 32. ქალბატონი (ფრანგულად); 33. ინეკო ... (XXს. იაპონელი მწერალი).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყუმი; 2. ჩორსუ; 3. ბრინჯი; 5. ყურჭი; 6. ჭიაურელი; 8. ციმაკურიძე; 10. სკუტერი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. ვეძისი; 16. ალიბი.

**თარაზულად:** 1. ყეყეჩი; 4. ტყაპუჭი; 7. პერესი; 9. ჯეჯილი; 11. ამერიკა; 12. სკალპელი; 13. სტრიტი; 17. წულაძე; 18. კილი; 19. ოპტიმიზმი; 20. ფერიჰედი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ალებასტრი; 2. თევზაძე; 3. ტიროლი; 4. აქატი; 5. გრინგო; 11. სულორი; 12. ჯაფარა; 14. გურუ; 16. რეპლიკა; 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. მძიმე; 22. პრადო.

**თარაზულად:** 6. კლარნეტი; 7. სექტორი; 8. ტვენი; 9. მარულა; 10. ლექსი; 13. გრიგი; 15. ტროპოსფერო; 18. მიკრობი; 20. ალჩუ; 21. მარიხი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

# გიორგი უშიკიშვილი: „ჯემალ ჭკუასელი „ერისიონის“ ისტორიას აყალბებს“

## ჯემალ ჭკუასელი: „უშიკიშვილი არაეროვნული კაცია“



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის გიორგი უშიკიშვილისა და ჯემალ ჭკუასელის დაპირისპირება გრძელდება.

ჯემალ ჭკუასელმა „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა და მის ადგილას მისი შვილი დაინიშნა. ინფორმაცია ამის შესახებ გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა.

– სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი თანამდებობიდან წავიდა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა მისი ვაჟი, მთავარ ქორეოგრაფად კი – მისი ქალიშვილი. თვითონ ბატონი ჯემალი ანსამბლის კონსულტანტი იქნება. გილოცავთ! სამართლიანობა ზეიმობს, – წერს გიორგი უშიკიშვილი.

„ერისიონის“ 130 წლის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით გიორგი უშიკიშვილმა მორიგი განცხადება გაავრცელა და ჯემალ ჭკუასელი ანსამბლის ისტორიის გაყალბებაში დაადანაშაულა.

**გიორგი უშიკიშვილი:**

– „ერისიონი 130“ – გუშინ გადაიხადეს იუბილე. ანსამბლი შეიქმნა 1936 წელს, ოფიციალურად კი – 1937-ში. ამ საკითხთან დაკავშირებით მისაუბრია მრავალ ადამიანთან, ვინც იცის ამ ანსამბლის ისტორია და ყველა მეთანხმება, თუმცა ჯერჯერობით ჩემ გარდა, ხმას არავინ იღებს. ჯემალ ჭკუასელი აყალბებს ანსამბლის ისტორიას, მაგრამ მე, როგორც დილეტანტს, ეს მათი შეხედულებით, არავინ მისმენს. წელს ანსამბლს შეუსრულდა 79 წელი. თუ ვინმე დოკუმენტურად დამისაბუთებს, რომ ვცდები, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს.

გიორგი უშიკიშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით ჯემალ ჭკუასელმა განაცხადა, რომ უშიკიშვილი არაეროვნული კაცია და მას პირადი წყენა ალაპარაკებს.

**ჯემალ ჭკუასელი:**

– მას პირადი წყენა ალაპარაკებს. ეს ახლა არ დაწყებულა, დიდი ხანია დაიწყო და წლებია გრძელდება. რომ ვთქვი, უვიციამეთქი, რომ ვთქვი, ადრე უნდა მოგვეხსენამეთქი, ეს ეწყინა.

ეს არის არაეროვნული კაცი, არ არის ქართულად მოაზროვნე, ქართული არაფერი სცხია. დავუშვათ, ტყუილიც რომ იყოს „ერისიონის“ ასაკი, ქართული საქმე კეთდება და, თუ ქართველი ხარ, უნდა გიხაროდეს. ანსამბლს ტყუილად არ მიანიჭებდნენ ოქროს დისკს, რომელშიც ფრედი მერკურის, მონსერატ კაბალიეს ნაწარმოებებია შესული. ტყუილად არ გაუშვებდნენ კოსმოსში ჩვენს „ჩაკრულოს“. თუ არ ვართ ღირსები, ასეც არ გამოგვარჩევდნენ.

გიორგი უშიკიშვილმა ჯემალ ჭკუასელის გამოხმაურება ასე შეაფასა:

– აი, უკვე მიპასუხა. ვერ მისაბუთებს, მაგრამ მლანძღავს. ეს რას ნიშნავს, კარგად მოგეხსენებათ. ბატონო ჯემალ, სიმართლე არ დაიმალება, რაც არ უნდა იმართლოთ თავი. კიდევ ბევრ სიმართლეს გაიგებთ ჩემგან და მლანძღეთ, არანაირი პრობლემა.

მსგავსი სიტყვები, რომლებიც თქვენ გამოიყენეთ ჩემ მიმართ, თქვენზეც მსმენია მრავალგზის. თქვენს შვილს წარმატებებს ვუსურვებ. იმედია, თქვენზე ნაკლები დირიჟორი არ იქნება.

მე არავის ვლანძღავ და პიროვნულად არავის ვეხები. არც ასეთ სალანძღავ სიტყვებს ვიყენებ. უბრალოდ, ვწერ სიმართლეს.

# 16 წლის პიანისტს დახმარება ესაჭიროება

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მეცხრე კლასის მოსწავლეს ნინო ჭყონიას დახმარება ესაჭიროება. 16 წლის ახალგაზრდა პიანისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.



– სოს! ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მე-9 კლასის მოსწავლე ნინო ჭყონიას დაუდგინდა უმძიმესი დაავადება: თავის ძვლის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე.

ნინო 1 თვეა, რაც უგონო მდგომარეობაში წევს თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო). მდგომარეობა ძალიან რთულია.

16 წლის ნინოს უკვე ჩაუტარდა ერთი ოპერაცია. ამჟამად იმყოფება მართვით სუნთქვაზე. საჭიროა დამატებითი ოპერაციები და ქიმიოთერაპია საზღვარგარეთ.

უმორჩილესად გთხოვთ დახმარებას!

**ანგარიშის ნომერია: TBC BANK**
**GE83TB7273536010300021**
**მიმღები: ფატიმა სახელაშვილი**

# ნინი ქარსელაძე: „რომელ სამშობლოს სიყვარულზე მელაპარაკებით?!“

## მომღერალმა კრიტიკოსებს უპასუხა

ახალგაზრდა მომღერალი ნინი ქარსელაძე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ნინიმ საზოგადოების რისხვა მას შემდეგ დაიმსახურა, რაც მძიმე კაცთან სტუმრობისას განაცხადა, სამშობლოზე მეტად შოკოლადი მიყვარსო.



ნინის ამ განცხადებაზე მსჯელობამ და კამათმა იმდენად სერიოზული და მასშტაბური სახე მიიღო, რომ მომღერალმა საჯარო განმარტებები გააკეთა.

**ნინი ქარსელაძე:**

– ჩემი პასუხი იყო გულწრფელი, სხვებისგან განსხვავებით. ის ადამიანები, რომლებიც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ამტკიცებენ სამშობლოს თავდადებულ სიყვარულს, მგონია, რომ უბრალოდ იტყუებიან და თამაშობენ პუბლიკაზე.

რომელ სამშობლოს სიყვარულზე მელაპარაკებით, რომელსაც მუდმივად ლანძღავთ და გაქცევაზე ხართ? არა მგონია, თქვენ იყოთ მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით დაკავებული. ასე რომ, თქვენი ცინიზმი, სარკაზმი და მარო მაყაშვილის როლები თქვენთვის დაიტოვეთ.

ნინი ქარსელაძის გარშემო ატეხილ ალიაქოთს მისი დედა, ხათუნა ჟორდანიაც გამოეხმაურა.

– კითხვაზე, რა გიყვარს სამშობლოზე ძალიან? ნინიმ უპასუხა: დედა, და, ჩემი ოჯახიო. კიდევ რაო, ჰკითხა წამყვანმა და ნინიმ სიცილით, შოკოლადიო. მერე მოყვა, როგორ ცხოვრობდა რამდენიმე ხანი უცხოეთში და როცა ჩამოვედი, ამ ქვეყნის სუნი მენატრებოდაო.

ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და 1000% ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი შვილი ბევრ თქვენგანს გაასწრებს და მასტერკლასსაც ჩაუტარებს სამშობლოს სიყვარულში, – წერს ხათუნა ჟორდანია.

# ვინ დაჭრა სახელოვნებო ბიბლიოთეკის დირექტორი?

სახელოვნებო და საგანმანათლებლო ბიბლიოთეკა კამპუსის დირექტორი მიხეილ ხუნდაძე ცივი იარაღით დაჭრეს. მას სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა და, საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.



მომხდართან დაკავშირებით, „კამპუსმა“ საგანგებო განცხადება გაავრცელა:

– კამპუსი არის ბიბლიოთეკა, თავისუფალი სახელოვნებო-საგანმანათლებლო სივრცე. მისი ფორმატი ითავსებს საჯარო ლექციებსა და სხვადასხვა სახელოვნებო აქტივობებს. კამპუსის ატმოსფეროს სტუდენტები და პროფესიონალები ერთობლივად ქმნიან.

კამპუსი მდებარეობს ვერაზე, მილორავას ქ. № 8ა-ში, ბელინსკისა და არაგვის ქუჩებს შორის.

კამპუსში მოხდა არასასიამოვნო ინციდენტი. როგორც ჩანს, „უბანში“ არსებული სოციალური გარემო არ აღმოჩნდა მზად, მიეღო მსგავსი ტიპის სივრცე. არატოლერანტული დამოკიდებულება გადაიზარდა აგრესიაში, რასაც მოჰყვა ფიზიკური ანგარიშსწორება.

ცივი იარაღით გულმკერდის არეში მძიმე დაზიანება მიიღო კამპუსის დირექტორმა მიხეილ ხუნდაძემ. საბედნიეროდ, მიშა გადარჩა და მძიმე ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესში იმყოფება.

მიუხედავად „უბანში“ არსებული ნეგატიური განწყობისა, უნდა აღინიშნოს, რომ „უბნელი“ ახალგაზრდობის კეთილგანწყობილი ნაწილი დაინტერესებული იყო ჩვენი საქმიანობით და აქტიურად ერთვებოდა მუშაობის პროცესში.

კამპუსი აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცნობიერებულად წყვეტს ფუნქციონირებას.

ამჟამად ჩვენ ალტერნატიული სივრცის ძიების პროცესში ვიმყოფებით.

სივრცის მოძიებისთანავე გაცნობებთ ახალ ადგილმდებარეობას, სადაც კამპუსი განაახლებს მუშაობას.

მადლობას გიხდით თანადგომისთვის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები მარინე, ირინე და არსენ ბერიძეები, სიძეები გია თათულაშვილი, ალეკო ოძელაშვილი, რძალი ნინო წიკლაური ოჯახებით, შვილიშვილები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანზორ (სულიკო) ბერიძე**

პანაშვიდი 30 ნოემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა 1 ნოემბერს, 14 საათზე.
მის:. სოფელი პატარა ლილო.

დავით დოლონაძე, იური კორაშვილი და ჯუმბერ შარიქაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის თარაშ ესიავას ვაჟიშვილის

**ნუკრი ესიავას**

უდროოდ გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ავსტრალიაში საშობაო განათების რეკორდი მოხსნეს



ავსტრალიის ქალაქ კანბერაში ხელოვნურ საშობაო ნაძვის ხეზე ნათურების რაოდენობის მსოფლიო რეკორდი მოხსნეს. ადგილობრივმა მცხოვრებმა დევიდ რიჩარდსმა 21 მეტრი სიმაღლის ნაძვის ხეზე 518.838 შუქდიოდური ნათურა განათავსა, ხოლო მის კენწეროზე 1.5 მეტრი სიმაღლის ვარსკვლავი დააყენა. ავსტრალიელს ამ საქმეში არქიტექტორები, ინჟინრები, დიზაინერები და მოხალისეები ეხმარებოდნენ. რიჩარდსის თქმით, მან მოახერხა ადრინდელი რეკორდის დამხობა, რომელიც ხუთი წლის წინ იაპონიის ქალაქ ოსაკაში იქნა დამყარებული, როდესაც 36 მეტრი სიმაღლის ნაძვის ხე 374 ათასი ნათურით იქნა მორთული. სადღესასწაულო განათების ჩართვის ცერემონიას გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელი ესწრებოდა, რომელმაც ახალი მსოფლიო მიღწევა დაადასტურა.

აღნიშნული პროექტი ადგილობრივი მცხოვრების მიერ ქველმოქმედების მიზნით იქნა ორგანიზებული. ყველა მსურველს შეეძლო, გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად შემოწირულება გაეღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



# TV პროგრამა
## ორშაბათი, 30 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ "**ტყუპები**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**კეთილი იყოს შენი დაბრუნება როსკო ჯენკინს**" 03.10 "კომუნიკატორი"

08.00 დოკ/ფ "ალენ ბაშუნგი" 09.00 დოკ/ფ "ალის პირისპირ" 10.30 დოკ/ფ "ვენეცია" 11.00 ქართ. მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" 12.30 დოკ/ფ "ვიეტნამი" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 07.00 სერ. "**კარმა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 1 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში - 10**" 00.00 მხ/ფ "**ფართო ნაბიჯით**" (დ.ჯონსონი) 01.50 მხ/ფ "**ნონსტოპი**" (ჯ.მური)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. ""**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნიჭიერი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია "აფხაზეთის საკითხი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში" 06.35 პატერიკი "მორჩილების ძალა" 06.45 ქართული ალბომი "სუჯაშვილი-მაგათი მადლითა და ძალით ვართ, ვცოცხლობთ..." 07.10 დ/ფ "ღირს არს ჭეშმარიტად" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**გამოაღეთ ფანჯრები**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" 16.40 დ/ფ 17.10 კონცერტი 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 თვენი "მიქაელ გობრონი" 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 საუკუნის პორტრეტები-გ. ცაბაძე 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 სერ. "**დაკარგული დრო**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო "პულსი" 16.05, 1.00 სერ. "**ტატიანა**" 17.05, 2.20 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**ბელადის ვაჟი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ჯარების წინამძღოლი; 6. ოფისი; 8. ინდოელი ქალის კაბა; 9. გერმანული ავტომობილი; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. კათოლიკური წირვა; 13. შემოსავლიანი „თბილი“ თანამდებობა; 14. „მინერალური ...“; 16. ღრეობა; 18. ბალჩეული მცენარე; 20. წელიწადის დრო; 21. წყვილთა ფრანგული ცეკვა.

**შვეულად:** 1. მოძალადე, უტიფარი; 2. საბრილიანტე ქვა; 3. წარმოებაში ხმარებული ნახშირწყალბადი; 4. მაღაზია; 5. საწამლავი; 7. სუპერმარკეტი თბილისის გარეუბანში; 11. ქმრის ძმა; 12. უეცარი შიში, თავზარი; 13. იტალიური წვრილი მაკარონი; 14. მასხარა, კლოუნი; 15. თმის სუროგატი; 17. რაიმე მექანიზმის, მანქანის მბრუნავი ნაწილი; 19. ერთეული ვექტორი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4051 |
| ევრო | 2.5477 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6199 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6350 |

## ამინდის პროგნოზი 30 ნოემბრისთვის





# მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

მაია ბურჭულაძე

## აბუსერიძეების საგა

ქართული დეტექტივის მე-12 ტომი





# ზაზა ფაჩულიას მე-10 ორმაგი დუბლი




ერთმატჩიანი პაუზის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ ჩვეული ორმაგი დუბლი შეასრულა. სეზონის მე-17 მატჩში, რომელიც დალასმა შინ დენვერთან გამართა და 91:82 გაიმარჯვა, ქართველმა ცენტრმა 16 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

ზაზა იყო მატჩის ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა, რითაც დალასელებს გამარჯვების მოპოვებაში უდიდესი დახმარება გაუწია. ქართველი ცენტრისთვის ეს სეზონის რიგით მე-10 დაბლ-დაბლია.

ორმაგ დუბლებში ფაჩულიამ დაიბრუნა მე-3 ადგილი. რამდენიმე დღის წინ ქართველ ცენტრს კლივლენდელმა კევინ ლავმა გადაასწრო, რომელმაც ბოლო მატჩში ბრუკლინთან ეს ველარ შეძლო და ახლა ზაზასთან ერთად ამ ნომინაციაში მთელ ლიგაში მე-3 ადგილს იყოფს. პირველ ადგილზე კი კვლავინდებურად ანდრე დრამონდია (14), ხოლო მეორეზე – რასელ ვესტბრუკი (11).

ფაჩულია, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 31 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 5 ორქულიანი და 9-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. 16 ქულასა და 12 მოხსნას ზაზამ 3 ჩაჭრა, 2 პასი და 1 დაფარება მოაყოლა.

31 წუთი ითამაშა დირკ ნოვიცკიმაც, რომელმაც შეხვედრა 13 ქულით, 7 მოხსნით, 3 ჩაჭრით და 2 პასით დაასრულა. ბომბარდირი კი დერონ უილიამსი გახდა 22 ქულით.

მატჩის 4 პერიოდიდან დალასელებმა 3 წააგეს. 22:25 და 26:27 წაგებული მეოთხედების შემდეგ დალასელებმა უძლიერესი მე-3 პერიოდი ჩაატარეს, რომელშიც დენვერი 25:5 დაჯაბნეს და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს. აღნიშნულ პერიოდში ფაჩულიამ 10 წუთი ითამაშა და 7 ქულითა და 4 მოხსნით დენვერელების რბევაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.

10 მოგებითა და 7 მარცხით ფაჩულიას გუნდი დასავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზეა – წინ ოკლაჰომა ჰყავს, კვალში კი – იუტა ჯაზი.

მომდევნო მატჩს დალასელები საკრამენტოში კინგსთან გამართავენ.

მ. ჟ.


# ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის

„ევროკაპიტალინვესტისგან“




სიცოცხლის ელექსირი

არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ნივთიერებებს, კონსერვანტებს, საღებავებს

100%-ით ნატურალური

დამზადებულია საქართველოში

შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-meil: infoeci777@gmail.com


# ლაშა ტალახაძე მსოფლიოში მეორეა




ჰიუსტონში დასრულებული ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო დღე წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს ნაკრებისთვის – მძიმეწონოსანი ლაშა ტალახაძე მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი გახდა.

ამავე წონაში ირაკლი თურმანიძე მე-12 ადგილზე გავიდა და გუნდს ჩასათვლელი ქულები მანაც მოუტანა.

ქალებში ასევე მძიმე წონაში ბ ჯგუფი მოიგო ანასტასია გოტფრიდმა, საერთო ჩათვლაში კი ისიც მე-12 იყო და მანაც მოიპოვა ქულები.

სულ კი, ბოლო დღეს ჩვენმა ნაკრებმა 42 ქულა მოიპოვა, ჯამში – კი 52.

ვნახოთ, რამდენ ლიცენზიას ეყოფა მონაგარი.

ევროპის ჩემპიონი ირაკლი თურმანიძე ბ ჯგუფის მოგებას დასჯერდა და უმაღლესი სინჯის მედლისთვის ბრძოლა მეგობარს დაუთმო. თურმანიძემ 202 კილოგრამით პირადი შედეგი გააუმჯობესა ატაცში. აკვრაში კი 220 კილოგრამს დასჯერდა, რაც საბოლოოდ მე-12 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

2-წლიანი იძულებული პაუზის შემდეგ მსოფლიო ფიცარნაგს დაუბრუნდა საჩხერელი ლაშა ტალახაძე, რომელმაც რიოს ოლიმპიადისთვის სერიოზული განაცხადი გააკეთა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## საახალწლო აქცია კერძო სახლების მშენებლობაზე დეველოპერული სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“ 1მ²-300$ ~~350$~~ (სრული თეთრი კარკასი) + ცენტრალური გათბობა საჩუქრად

### პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესი“:

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის სადაზღვევო გარანტია.



დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business


# იუმორი



●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ფსიქიატრიული საავადმყოფოა?

– დიახ, გისმენთ.

– მანქანა მომპარეს და მის პოვნაში დამეხმარეთ.

– ჩვენთან კი არა, პოლიციაში უნდა დარეკოთ.

– იცით, რაშია საქმე? 84 წელს გამოშვებული ოპელი მომპარეს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რასაც ჩვენი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, ნახევარი ტყუილია!

– ნახევარი? ამით იმის თქმა გინდა, რომ მეორე ნახევარი სიმართლეა?

– რა თქმა უნდა, ის, რასაც ერთმანეთზე ლაპარაკობენ!

●●●

ქორწილში ცეკვის დროს სიძეს კოსტიუმზე ღილი ასწყდა. დედოფალმა, არიქა, თავს გამოვიჩენო და იქვე მიაკერა. ამ დროს ცოტა შეზარხოშებული იყო და ძაფის მოკვნეტისას ნემსი და დარჩენილი ძაფი გადაეყლაპა. ატყდა ერთი ამბავი და დედოფალი ექიმთან გააქანეს. ექიმმა დაამშვიდა:

– პრობლემა არ არის, ორგანიზმი თავისით გამოიტანს.

– ექიმო, სექსი თუ შეიძლება? – ეკითხება სიძე.

– კი, როგორ არ შეიძლება, მარა სიფრთხილისთვის მაინც სათითე გაიკეთე.

●●●

ფსიქიატრის კაბინეტში ოთხზე დამდგარი მამაკაცი შედის. ექიმი ეუბნება:

– აბა, ეს ვინ მოვიდა? ფისუნია?

მამაკაცი ყურადღებას არ აქცევს და კუთხისკენ მიფორთხავს.

– ლეკვი ხარ? – არ ასვენებს ექიმი.

კაცმა ახლა მეორე კუთხისკენ გასწია.

– ააა, ზღარბუნია ხარ? არა, დაიცა, კუ ხარ?

– აუ, შემეშვი რა, ინტერნეტის გაყვანას დამაცდი?!

●●●

დედა ქალიშვილს არიგებს:

– შვილო, ლევანს არ გაჰყვე ცოლად.

– რატომ, დედა?

– ნამეტანი კაი ბიჭია, ოჯახის მოყვარული, ზრდილობიანი და განათლებული.

– კი მაგრამ, ასეთ კარგ ბიჭს რატომ არ უნდა გავყვე ცოლად?

– ცოდოა, მაგას სიდედრობას ვერ გავუწევ. აგერ, გივიკოს გაჰყევი, დასანახად ვერ ვიტან მაგ სასიკვდილეს...

●●●

მიხოს თანასოფლელი ეკითხება:

– ტუალეტზე კარი რატომ არ გიკიდია?

– რას მაიპარავენ, რო?!

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა